დამტკიცებულია შპს თაობის

დირექტორის მიერ

05.09.2025 წ. №01-04/20 ბრძანებით

შპს თაობა

სასკოლო სასწავლო გეგმა (სასკოლო კურიკულუმი) (2025-2026)

ბათუმი, 2025

შესავალი

ჩვენ გვჯერა იდეის, რომ მოსწავლე არის განვითარების სუბიექტი, ჩვენი სკოლის მისია, ხედვა ამოდის ამ პარადიგმიდან. სკოლის მიზნებიც მიზნების შესაბამისი ამოცანებიც, მათი შესრულებისთვის საჭირო აქტივობებიც სწორედ მოსწავლის როგორც განვითარების სუბიექტის იდეის შინაარსის გააზრება-გათავისებას და ფრთაშესხმას ცდილობს.

სკოლა „თაობა'' განსხვავდება სხვა სკოლებისაგან როგორც რესურსებით (იქნება ეს ადამიანური, ინფრასტრუქტურული თუ ფინანსური რესურსი), ასევე საკუთარი ინსტიტუციური მეხსიერებით, სასკოლო კულტურით, შესაძლებლობებითა და გამოწვევებით. შესაბამისად, ჩვენი სკოლის მოქმედების არეალიც და ხედვებიც განსხვავებულია. სწორედ სასკოლო კურიკულუმია მთავარი ინსტრუმენტი, რომელშიც ნათლად ჩანს მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის გამოკვეთილი სკოლის ავთენტური ''გზა".

სასკოლო კურიკულუმი ჩვენთვის წარმოადგენს ერთგვარ შეთანხმებას / ანგარიშვალდებულებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. რაც უფრო მაღალია შეთანხმებულობის და ანგარიშვალდებულების ხარისხი, მით უფრო მდგრადი და თანამიმდევრულია პროცესები, რაც დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა პროგრესზე.

კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი (კურიკულუმის შემუშავება, დანერგვა/განხორციელება, მონიტორინგი/შეფასება, გადასინჯვა/რევიზია), გულისხმობს სასწავლო პროცესში, წარმატებული გამოცდილების და გამოწვევების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

სასწავლო პროცესის ანალიზისა და შეფასებისთვის, წარმატებული გამოცდილების თუ გამოწვევების შესახებ მონაცემების მოგროვება ხორციელდება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალ წყაროზე და რესურსზე დაყრდნობით. კერძოდ: მასწავლებლებთან ინდივიდუალურ სამუშაო შეხვედრებზე, საგნობრივი გუნდების სამუშაო შეხვედრების დროს, მასწავლებელთა კორპუსის გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრებზე, კონკრეტული მაგალითების განხილვით, ასევე ელექტრონული ჟურნალის პლატფორმაზე მასწავლებლის, კლასის, მოსწავლის პროფილის შესწავლით, მუდმივად ვაანალიზებთ მასწავლებლის მიერ საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილ და ელექტრონული ჟურნალის პლატფორმაზე ასახული - შემოქმედებითი დავალებების პირობების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების ეფექტურობას და ვალიდურობას; მეთოდების/სტრატეგიების ეფექტურობას და ვალიდურობას. მოსწავლეთა ნამუშევრებს; მოსწავლეების, მშობლების და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების გამოკითხვის შედეგებს. დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო პროექტების ეფექტურობას და შედეგებს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ვალიდურობის და ეფექტურობის შედეგებს.

სასწავლო წლის დასრულებისთანავე განხორციელებული კურიკულუმის შინაარსობრივი ანალიზის მიზნით დაიწყო საგნობრივი გუნდების სამუშაო შეხვედრები, სადაც მასწავლებლები ხარისხის ჯგუფის ჩართულობით წარადგენდნენ განვლილ სასწავლო წელს განხორციელებული საგნობრივი კურიკულუმის რეფლექსიას. შეხვედრაზე დადგინდა განხორციელებული სასწავლო პროცესი რამდენად კარგად შესრულდა და აკმაყოფილებს თუ არა კრიტერიუმებს. გაანალიზდა შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობები. შეხვედრაზე პასუხი გაეცა საკვანძო შეკითხვებს: მიზნების და ამოცანების მისაღწევად 2025-2026 სასწავლო წელს როგორი კურიკულუმი უნდა დაგეგმოს და განახორციელოს სკოლამ? რამდენად ზუსტად უპასუხებს შემუშავებული კურიკულუმი მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს?

როგორ უზრუნველვყოთ დაგეგმილი კურიკულუმის წინა წელთან შედარებით მეტად ეფექტიანად განხორციელება? გაგრძელდება სარგებელი, რომელიც კურიკულუმის განხორციელებას მოჰყვება? ესე იგი სამუშაო შეხვედრაზე საგნობრივი განვითარების გუნდის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებით, განისაზღვრა წარმატებების წინაპირობა. სწორედ სამუშაო შეხვედრებზე რეფლექსიის შედეგად დანახული მიგნებები საფუძვლად დაედო საგნობრივი კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიას და აისახა ახალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის პროექტში.

სასკოლო კურიკულუმი შედგება კონცეპტუალური და ადმინისტრაციული ნაწილისგან და დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებისაგან.

სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალურ და ადმინისტრაციულ ნაწილში აისახა - სკოლის მისია, მიზანი, სწავლის პრინციპები და შედეგები, მოსწავლეთა შეფასების სისტემის მექანიზმები, ასევე დეტალურად აღიწერა კურიკულუმის განვითარების (შემუშავება, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება, რევიზია) ეტაპები სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობის დონის და პერიოდის მითითებით. აღიწერა სკოლის დამხმარე და მმართველობითი პროცესები და კავშირი ძირითად/სასწავლო პროცესთან. აღიწერა სასწავლო წლის კალენდარი, საათობრივი ბადე, სასწავლო პროცესის და სკოლის კულტურის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები - დამრიგებლის, საგნობრივი განვითარების გუნდების (კათედრები), მასწავლებელთა თანამშრომლობის პლატფორმის (მასწავლებელთა თვითმმართველი ორგანო), მოსწავლეთა განვითარების პლატფორმის (მოსწავლეთა თვითმმართველი ორგანო), სასკოლო კლუბების საქმიანობა.

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კი თემის ფარგლებში აისახა შუალედური მიზნები (შემოქმედებითი დავალების პირობები, შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო შინაარსი/რესურსები), რომელიც მიემართება მიემართება ცნებების შინაარსის საინტერესო კონტექსტებში გააზრებას და ფუნქციური უნარების გააქტიურების ხელშეწყობას და რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას, ცოდნის ეტაპობრივ აგებას წინა ცოდნაზე დაფუძნებით, ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის შეძენას, მოსწავლის მიერ სწავლის სტრატეგიების დაუფლებას.

სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალურ და ადმინისტრაციულ ნაწილის პროექტზე მუშაობდა ხარისხის ჯგუფი 2025 წლის აგვისოტს თვეში. ხოლო დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსია შექმნა მასწავლებელთა კორპუსმა ივლისი-აგვისტოს თვეში, ხარისხის ჯგუფთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად.

საერთო ამოცანების გადასაჭრელად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის პროექტი, უკუკავშირის და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების/დამატებების შეტანის მიზნით, გაუზიარდა სასკოლო საზოგადოებას გაერთიანებული სამუშაო შეხვედრაზე და საბოლოო სახით ფორმირდა დისკუსიის ფორმატში განხილვით, რომლის შემდეგ დამტკიცდა დირექტორის ბრძანებით. საჯაროობის მიზნით სასკოლო კურიკულუმი აიტვირთა სკოლის საიტზე და განთავსდა სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფებზე.

თავი I. სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალური და ადმინისტრაციული ნაწილი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება შპს „თაობას" (შემდგომში სკოლა) სასკოლო კურიკულუმი ეფუძნება „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს", „ეროვნულ სასწავლო გეგმას" და უზრუნველყოფს სკოლის დონეზე/კონტექსტში - მოსწავლეთა მზაობის, საჭიროებების, ინტერესების, სასკოლო საზოგადოების/თემის მოლოდინების, არსებული რესურსების და გამოწვევების გათვალისწინებით- ეროვნული სასწავლო გეგმის ფილოსოფიის რეალიზებას.
2. სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, სკოლისათვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს:
   - ❖ სასკოლო საზოგადოების შესაძლებლობებს და საჭიროებებს - ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სწავლის პროცესი შეუძლებელია საზოგადოებრივი გამოწვევებისაგან ცალკე იდგეს და არ ემსახურებოდეს მათ გადაჭრას. კარგად გვაქვს შესწავლილი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები, გამოწვევები და ჩვენი საქმიანობით ვემსახურებით სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას;
   - ❖ განვითარებას - ვთვლით, რომ სასკოლო კურიკულუმი უნდა იყოს განვითარებაზე ორიენტირებული. მნიშვნელოვანია, რომ სკოლას აქვს უნარი, იკვლიოს საკუთარი მიღწევები, პრობლემები, რისკები და ამის საფუძველზე ცვლილებები შეიტანოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. გვსურს კურიკულუმის განვითარება მუდმივმოქმედ პროცესს წარმოადგენდეს;
   - ❖ მონაწილეობითობა/ჩართულობას - ჩვენ სასკოლო კურიკულუმთან მიმართებით მნიშვნელოვანია როგორც ხარისხი, ასევე მისი შემუშავების პროცესიც. ვცდილობთ კურიკულუმის განვითარებაში მაქსიმალურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი: მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, სკოლის პერსონალი, სკოლის დირექცია. სასკოლო კურიკულუმი ჩვენთვის წარმოადგენს ერთგვარ შეთანხმებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. რაც უფრო მაღალია შეთანხმებულობის ხარისხი, მით უფრო მდგრადი და თანამიმდევრულია პროცესები, რაც გავლენას ახდენს მოსწავლეთა შედეგებზე.
3. სკოლა სასკოლო კურიკულუმს განიხილავს მთავარ საშუალებად:
   - ❖ სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად;
   - ❖ სასკოლო საზოგადოების ერთიან გუნდად ჩამოსაყალიბებლად;
   - ❖ სასკოლო კულტურის განსავითარებლად;
   - ❖ სკოლის ავტონომიურობის ხარისხის გასაზრდელად.
4. სასკოლო კურიკულუმი შედგება კონცეპტუალური და ადმინისტრაციული ნაწილისგან და დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებისაგან.

5. სასკოლო კურიკულუმის პირველი თავი (კონცეპტუალური და ადმინისტრაციული ნაწილი) შეეხება ზოგადი განათლების სამივე საფეხურს (დაწყებითი, საბაზო, საშუალო);
6. სასკოლო კურიკულუმით აღიწერება:
   ა) ანგარიშვალდებულება, რომელიც სკოლას სახელმწიფოს, სასკოლო საზოგადოების წევრებს კი სასკოლო საზოგადოების წინაშე გააჩნიათ.
   ბ) „გზა“, რომელსაც სკოლა მოსწავლეს სთავაზობს პიროვნული განვითარებისთვის (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე).
7. სკოლა იზიარებს და ნერგავს სწავლა-სწავლების პროცესზე ორიენტირებულ მიდგომას, შესაბამისად სკოლას ავითარებს პროცესზე ორიენტირებულ სასკოლო კურიკულუმს.
8. პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმი არის სამგანზომილებიანი კურიკულუმი, რომელიც სასაწავლო პროცესში სამიზნე ცნების ელემენტის შემოტანით, ცოდნის, უნარების და ღირებულებების ერთობლივ აღქმასა და მოქმედებას განაპირობებს.
9. სასკოლო კურიკულუმს შეიმუშავებს და ავითარებს სასკოლო საზოგადოება (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, სკოლის დირექცია და პერსონალი).
10. კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია, რომელიც შემდეგი ეტაპებისაგან შედგება: კურიკულუმის შემუშავება, კურიკულუმის დანერგვა/განხორციელება, კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება, კურიკულუმის გადასინჯვა/რევიზია.

მუხლი 2. სკოლის მისია

1. **მისია:** *„ჩვენ გვჯერა, რომ მხოლოდ საკუთარი პიროვნების თავისუფლად განვითარება განაპირობებს მოსწავლის ბედნიერებას და წარმატებას, შესაბამისად მზად ვართ ვაქციოთ სწავლა მოსწავლისთვის საინტერესო პროცესად, გარემოში სადაც ყველა მიღებული და დაფასებულია, სადაც მოსწავლე შეძლებს იპოვოს საკუთარი თავი”.*
2. მისიის რეალიზებისთვის, სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმაში გამოკვეთილია სამი მიმართულება (იხ.დანართი №1 სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. დანართი №2 სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა):

„პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმის განვითარება” - ამთლიანებს ისეთი ამოცანების გადაჭრას, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის ცნებების შინაარსის გააზრებაზე და ფუნქციური უნარების (შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებისყოფა) გააქტიურებაზე ორიენტირებით, კონსტრუქტივიზმის საგანმანათლებლო პრინციპების დაცვით განხორციელებას *(შემოქმედებით დავალებაზე მუშაობა როგორც სწავლების მეთოდი)*. როდესაც თემის ფარგლებში გამოკვეთილი შუალედური მიზნებით (შემოქმედებითი დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო შინაარსი, სასწავლო რესურსები) უზრუნველყოფილია - მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება, ცოდნის ეტაპობრივი აგება წინა ცოდნაზე დაფუძნებით, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის შეძენა, მოსწავლის მიერ სწავლის სტრატეგიების დაუფლება.
ასევე სასწავლო პროცესის კეთილგანწყობილ გარემოში, მოსწავლეზე ორიენტირებულად, მათი შესაძელბელობების და ინტერესების მიხედვით წარმართვა და შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკაში მოცემული კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეებზე ზეპირი და წერილობითი განმავითარებელ უკუკავშირის მიცემა.

გარდა გაკვეთილებისა, პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმის განვითარება მოიცავს, მოსწავლეებში ცნებების გააზრების და ფუნქციური უნარების გააქტიურების ხელშეწყობას სასკოლო კლუბების ფორმატში (კლუბების ძირითადი ფუნქციაა უზრუნველყოს საგნობრივი ჯგუფების სწავლების გაფართოება), სასკოლო საზოგადოების აქტიური თანამშრომლობით, მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი აქტივობებით საინტერესო კონტექსტების შეთავაზებით.

პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმის განვითარება მოიცავს, მონაცემების მოგროვება/ანალიზს მოსწავლის ჩართულობასა და მოსწავლის პროგრესზე ცნებების გააზრების მიმართულებით. გაანალიზებული მონაცემების აღწერას და გაზიარებას.

პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმის განვითარება მოიცავს მასწავლებლის რეფლექსიას რომელიც ეფუძნება შემოქმედებითი დავალებების პირობების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების ეფექტურობის და ვალიდურობის; მეთოდების/სტრატეგიების ეფექტურობის და ვალიდურობის მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზს და აღნიშნული რეფლექსიის შედეგად გამოკვეთილი წარმატებული პრაქტიკის თუ გამოწვევების ერთმანეთზე გაზიარებას. რა ქმნის გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის მუდმივად განვითარების საფუძველს.

აღნიშნული უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ხარისხის მართვას - შეფასების კრიტერიუმების, მოსწავლეთა შედეგების მონაცემების შეგროვების/ანალიზის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღების გზით და მოსწავლეთა შედეგების ანალიზის მათი საჭიროებების, მზაობის და ინტერესების გათვალისწინებით გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების შემუშავება/დანერგვას.

„მოსწავლეთა სოციალიზაცია და ინდივიდუალიზმის, დამოუკიდებლობის ხელშეწყობა (სუბიექტივიზაცია)” - ამთლიანებს ისეთი ამოცანების გადაჭრას, რომელიც მიემართება მოსწავლეთა კოგნიტური/შემეცნებითი სფეროს განვითარების პარალელურად სოციო-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობას. სკოლა აანალიზებს მოსწავლეების როგორც აკადემიურ ასევე სოციო-კულტურულ გამოწვევებს, შესაბამისად სასკოლო საზოგადოება (მასწავლებელთა კორპუსი მშობლები მოსწავლეთა განვითარების პლატფორმა, PR მენეჯერი, ფსიქოლოგი, კლასის მენტორები, ხარისხის ჯგუფი, დირექცია) აქტიური თანამშრომლობით გეგმავს და განახორციელებს სასკოლო პროექტებს, შიდა თუ გარე ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლეების სოციალიზაციის, თვითრწმენის და ღირებულებების განვითარებისკენ. ეს მიმართულება ემსახურება მოსწავლეების სოციო-კულტურული კონტექსტების გათვალისწინებას, მოსწავლეებში დაცულობის, აღიარების დაფასების განცდის განვითარებას. მოსწავლეების ფსიქოლოგიურ და ემოციურ გაძლიერებას, გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობას. (მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია, პიროვნებას პირველ რიგში სჭირდება უსაფრთხოების დაცულობის განცდა, ასევე უნდა იყოს აღიარებული როგორც პიროვნება. პირველადი/საბაზო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ გაცილებით დიდია ალბათობა პიროვნებას გაუჩნდეს თვითაქტუალიზების, თვითგანვითარების მოთხოვნილება).

მოსწავლეთა სოციალიზაციის და ინდივიდუალიზმის ხელშეწყობა მოიცავს კლასის მენტორების (დამრიგებლები) და ფსიქოლოგის საქმიანობის მოსწავლეთა საჭიროებების და გამოწვევების შესაბამისად წარმართვას, კერძოდ მოსწავლეების/კლასის საჭიროებებზე/გამოწვევებზე მონაცემების მოგროვება/ანალიზს და გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე შესაბამისი აქტივობების (პრევენციის და ინტერვენციის ღონისძიებების)განხორციელებას.

მოსწავლეთა სოციალიზაციის და ინდივიდუალიზმის ხელშეწყობა მოიცავს სკოლის თვითმმართველობის განვითარებას, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას იკვლიონ საკუთარი საჭიროებები, ინტერესები, მიღწევები, პრობლემები დასახულ მიზნებთან მიმართებით და ამის

საფუძველზე დაგეგმონ/განახორციელონ კონკრეტული აქტივობები. რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის დამოუკიდებელ, აქტიურ და პასუხისმგებლიან ინდივიდად ჩამოყალიბებას, რომელიც იზრუნებს როგორც საკუთარი პიროვნების ასევე თემის/საზოგადოების განვითარებაზე.

„სკოლის ინსტიტუციური მდგარდობის და ეფექტურობის უზრუნველყოფა" - ამთლიანებს ისეთი ამოცანების გადაჭრას, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მოქნილ ორგანიზაციულ მოწყობას, მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის განვითარებას საგანმანათლებლო პროცესის ეფექტური ფუნქციონირებისთვის. სასკოლო კულტურის იმგვარ განვითარებას, სადაც საერთო ამოცანები, გადაიჭრება გუნდური მუშაობის პრინციპით ნაცვლად შეჯიბრებითობისა, რაც განაპირობებს მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის შინაგანი მოტივაციის ზრდას, ტრანსფორმაციული ლიდერების გამოკვეთას, მასწავლებელთა ინიციატივების მხარდაჭერესა და წახალისებას.

სკოლის ინსტიტუციური მდგრადობის და ეფექტურობის უზრუნველყოფა მოიცავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების რეალური მონაწილეობის და ჩართულობის შესაძლებლობის ხელშეწყობას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების თანამშრომლობას სადაც ურთიერთობა ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას. ეს უზრუნველყოფს სკოლის ერთიან გუნდად, ისეთ ორგანიზაციად გადაქცევას, რომელიც საკუთარ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს იკვლევს დასახულ მიზნებთან მიმართებით.

სკოლის პროცესებში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, როგორც წესი, მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის/თანამშრომლის ჩართულობა, არამედ იმ გუნდის სრულად, რომელსაც სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს პროცესებს. განსხვავებულად აფასებენ და მათი გადაჭრის განსხვავებულ გზას ხედავენ. თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. აღნიშნული ამოცანის გადაჭრას უზრუნველყოფს სკოლაში სამუშაო შეხვედრების თანამშრომლობითი პრინციპით (whole school approach), დისკუსიის ფორმატში (და არა ფორმალურ, ფრაგმენტულ) წარმართვას, სადაც განიხილება სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების ასევე სასკოლო კურიკულუმის განვითარების ეფექტიანობა და ხარისხი.

სკოლის ინსტიტუციური მდგრადობის და ეფექტურობის უზრუნველყოფა მოიცავს მაღალი სტანდარტის შიდა ხარისხის მექანიზმის დანერგვას, რომლის საქმიანობაც ეფუძნება პროცესულ მიდგომას, მხარდაჭერას. სკოლის თითოეული პროცესის (მმართველობითი, ძირითადი, დამხმარე) განხორციელებაზე მონაცემები გროვდება და ანალიზდება მრავალ წყაროზე დაყრდნობით მრავალფეროვანი მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული უზრუნველყოფს პროცესების მთლიანობითად აღქმას, გამუჯობესებას და საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე დაფუძნებას.

სკოლის მდგრადობის და ეფექტურობისთვის საჭიროა ერთი მხრივ „მოსწავლე სუბიექტის'' პარადიგმაზე საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება. ეს უზრუნველყოფს სკოლის დადებით იმიჯს და მაღალ ცნობადობას. და მეორე მხრივ გამართული სასწავლო პროცესის, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

მუხლი 3. სწავლა-სწავლების მიზნები

1. ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები არის იერარქიის თავში ის ყველაზე მსხვილი, განზოგადებული და გრძელვადიანი მიზანია, რომელიც წარმოადგენს იმ ძირითად კომპეტენციებს, რომლებიც უნდა წარმოაჩინოს მოსწავლემ ზოგადი განათლების დასრულებისას. სკოლა თაობაში სწავლა-სწავლების მიზნებიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნიდან ამოდის, სკოლის კონტექსტის გათვალისწინებით.

2. **სკოლა თაობაში სწავლა-სწავლების მიზანია** ***<u>მოსწავლის პიროვნული განვითარების უზრუნველყოფა</u>***, **<u>რომელიც გულისხმობს მოსწავლეების მიერ ცნებების შინაარსის გააზრებას და მოსწავლეებში ფუნქციური უნარების განვითარებას.</u>**
3. საგნის სისტემური და გააზრებული ცოდნის საფუძველი ამ საგნის ძირითად ცნებათა სისტემაა. *ცნება წარმოადგენს ორგანიზებულ იდეას, აზრობრივ კონსტრუქტს, რომლის დაუფლებაც განაპირობებს აზროვნების სტრუქტურირებას, ორგანიზებას. თითოეულ საგანში გამოყოფილია სამიზნე ცნებები.* ცნებები განსაზღვრულია მთელი სასწავლო კურსის და არა კონკრეტული წლის ან თემის ფარგლებში, მათ გააზრებაზე განგრძობითად, მთელი კურსის მანძილზე, ყველა სასაწვლო თემაში მიმდინარეობს მუშაობა. სემესტრის, წლის განმავლობაში იცვლება სასწავლო თემები (შინაარსობრივი კონტექსტები), თუმცა, გრძელვადიანი მიზნები უცვლელი რჩება.
4. მოსწავლეთა ინტერესის და საჭიროებების შესაბამისი, თემის ფარგლებში გამოკვეთილი შემოქმედებითი დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო რესურსები, სასწავლო შინაარსი და *<u>შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესი როგორც სწავლების მეთოდი</u>* ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების გააქტიურებას.
5. სკოლის პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმის განვითარებისთვის მიზნებზე ორიენტირებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. შესაბამისად თითოეული საგნის სწავლების მიზნები (ცნებების შინაარსის გააზრება) საერთო დიდი მიზნებიდან გამომდინარეობს (მოსწავლის პიროვნული განვითარების უზრუნველყოფა) რითაც სწავლა-სწავლება დასახული მიზნებისკენ მიმართულ „გზად“ იქცევა.

მუხლი 4. სწავლის შედეგები

1. სწავლის შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე (განვითარებადი შედეგი - developmental objectives) და ურთიერთდაკავშირებულად რეალიზდება/მიიღწევა სასწავლო თემის ფარგლებში. განვითარებადი შედეგის - developmental objectives კონცეფცია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირების საშუალებას იძლევა, ასევე სასწავლო შინაარსის მოკლევადიან მიზნებად, ინდიკატორებად დაქუცმაცების საფრთხეს ამცირებს.
2. სასკოლო კურიკულუმში <u>თემას,</u> როგორც სტრუქტურულ ერთეულს, ცოდნის აგების პროცესებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, კერძოდ:
   - ❖ თემა მოსწავლეს სთავაზობს მისთვის <u>ნაცნობ კონტექსტს.</u> მოსწავლე ინფორმაციას წინარე ცოდნით ამუშავებს. თემა კი მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი უნდა იყოს, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში.
   - ❖ თემა წარმოადგენს მოსწავლისათვის <u>აზრიან, შინაარსიან კონტექსტს</u>, რაც აუცილებელი პირობაა მოსწავლის შინაგანი ძალების გასააქტიურებლად. მხოლოდ შინაარსისეულ სიტუციებს შეუძლია სამოქმედოდ აღძრას მოსწავლე, აქციოს იგი <u>სწავლის აქტიურ სუბიექტად;</u>
   - ❖ თემის ერთიანი კონტექსტი ცნებების ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ხანგრძლივ მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება აუცილებელი პირობაა მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებისათვის;

- ❖ თითოეული თემის კონტექსტში ყველა ცნება მუშავებდება. ასე რომ, თემები გრძელვადიან მიზნებზე/განვითარებად შედეგებზე მრავალგზის მუშაობის საშუალებას იძლევა.
- ❖ თემა სასწავლო პროცესის დროში თანაბარზომიერად განაწილებისა და დაგეგმვის ოტპიმალური ინსტრუმენტია.

3. თემის ფარგლებში გამოიყოფა შუალედური მიზანი/მიზნები, რომელიც შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:
   ა)მოსწავლისთვის საინტერესო შემოქმედებითი დავალების პირობა, რომელსაც ნაცნობი კონტექსტები შემოაქვს და რომლითაც მოსწავლე სასწავლო პროცესს დღეს არსებულ ცხოვრებას უკავშირებს (წარმოიდგინე რომ ხარ რეჟისორი, ბლოგერი, ინფლუენსერი, არქიტექტორი, სპორტსმენი, მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი). პირობა მოიცავს პროდუქტს, რომელსაც ქმნის მოსწავლე და რომლის საშუალებითაც ადასტურებს საკუთარ ცოდნას (კომიქსი, მხატვრული ნაწარმოები, საგაზეთო სტატია, ბუკლეტი, ვიდეორგოლი,პოდკასტი, ბლოგი, ვლოგი და ა.შ);
   ბ)შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მიემართება ცნებების არსებით ნიშან თვისებებს და რომლითაც მკაფიოდ არის გააზრებული რაკურსი, რომელზე ორიენტირებითაც ხდება ახალ მასალაში (საკითხი) ცნების გააზრება გათავისება.
   გ) მასალა, რესურსები (საკითხი/საკითხთა სპექტრი), რომელიც შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისას სასწავლო პროცესში მუშავდება.
4. თემის ფარგლებში შეიძლება გამოიკვეთოს ერთი, ორი ან მეტი შუალედური მიზანი. რაოდენობა განისაზღვრება <u>სკოლისა და მასწავლებლის მიერ</u> სასწავლო პროცესში გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად. კერძოდ: საგნობრივი განვითარების გუნდების შეხვედრებზე <u>გაანალიზდება</u> საერთო ამოცანების გადასაჭრელად განხორციელებული სასწავლო პროცესი/კურიკულუმი კერძოდ - გაზიარდება მონაცემები მოსწავლეთა მიღწევებზე, ასევე გაზიარდება ხელშესახები მიგნებები განხორციელებული - შემოქმედებითი დავალებების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების, მეთოდების - ეფექტიანობის შესახებ. რომლის საფუძველზეც გუნდის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებით საერთო ამოცანების გადასაჭრელად <u>ერთობლივად</u> <u>იგეგმება</u> გადამუშავებული კურიკულუმები/სასწავლო პროცესი.
5. სასწავლო პროცესში შემოქმედებით დავალებაზე/შუალედურ მიზნებზე მუშაობა მიმდინარეობს შემდეგნაირად:
   - ▪ შესასწავლი საკითხის დაანონსებისთანავე, მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს დავალების პირობას(შესაძლოა დავალების ადაპტირება მოსწავლის საჭიროებების, მზაობის, ინტერესის მიხედვით) და ცნების/ცნებების გააზრებისაკენ მიმართულ შეფასების კრიტერიუმებს.
   - ▪ საჭირო რესურსის მობილიზებას მასწავლებელი ახდენს ცნებების გააზრებაზე მიმართული შეფასების კრიტერიუმებიდან გამომდინარე და მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინებით. ესე იგი პირველადია ცნებებზე მიმართული შეფასების კრიტერიუმები და ამის საფუძველზე რესურსთა მობილიზება.
   - ▪ საკითხზე მუშაობა გრძელდება რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში. მოსწავლეებმა ზუსტად იციან, თუ რა შემოქმედებითი დავალების შესაქმნელად სჭირდებათ გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობები, რა დავალების საშუალებით უნდა დაამტკიცონ საკუთარი ცოდნა ახალ საკითხთან მიმართებით. ***(ცნების/ცნებების გააზრებისაკენ მიმართულ შეფასების კრიტერიუმებით მოსწავლე ნათლად ხედავს რა არის საგაკვეთილო პროცესების მიზანი. ნათელია რატომ ხორციელდება ესა თუ ის აქტივობა).***
   - ▪ სამუშაო პროცესში მოსწავლეები ეცნობიან და ამუშავებენ მიცემულ/მოძიებულ მასალას ***(მასალა ორგანიზებდება/მუშავდება საგაკვეთილო პროცესში თანამშრომლობითი სწავლებით, ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით/ფრონტალური სალექციო***

მეთოდის მინიმუმამდე დაყვანით), სვამენ დამაზუსტებელ შეკითხვებს - დავალების ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებით. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

- მასწავლებელი მოსწავლეების მიერ დასმული შეკითხვების ხარისხზე/სასწავლო პროცესში მოსწავლეების ჩართულობის დაკვირვებაზე დაყრდნობით აკეთებს განზოგადებებს და ადგენს მოსწავლეების მიერ ცნებების შინაარსის გააზრების დონეს თუ ფუნქციური უნარების განვითარების დინამიკას (ესე იგი ადგენს თითოეული მოსწავლის საჭიროებას, მზაობას). სწორედ ამ განზოგადებების საფუძველზე მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესში აკეთებს მიმართულების მიმცემ განმავითარებელ კომენტარს, რაც უადვილებს მოსწავლეებს პროცესის სწორად დაგეგმვას/წარმართვას.
- იმ გაკვეთილების განმავლობაში, რომელიც ამ საკითხს ეხება, ყველა მოსწავლე წარადგენს საკუთარ ნაშრომს, იღებს განმავითარებელ უკუკავშირს მასწავლებლებისგან და თანაკლასელებისგან.

6. სკოლაში შემოქმედებით დავალებაზე (შუალედური მიზანი) მუშაობის პროცესი ამავდროულად არის სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემების მოგროვების წყარო. მონაცმები გროვდება ორი მიმართულებით: 1- პროგრესი სამიზნე ცნებებთან მიმართებით. 2- სასწავლო პროცესში ჩართულობა.
7. შედეგი მიღწეულად მიიჩნევა, როცა მოსწავლეს შეუძლია საგნობრივ საკითხთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრება, გაანალიზება და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება.

მუხლი 5. სწავლა-სწავლების პრინციპები

1. სკოლაში სწავლა-სწავლების მიზანი (ცნებების გააზრება, ფუნქციური უნარების განვითარება) მიიღწევა ***კონსტრუქტივიზმის პრინციპის*** დაცვით **(1-მოსწავლე სწავლა-სწავლების სუბიექტია; 2- სწავლა ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესია),** რომელიც რეალიზდება საგაკვეთილო პროცესში ***შემოქმედებით დავალებაზე მუშაობით*** *(შემოქმედებითი დავალება მოიაზრება* ***<u>სწავლების მეთოდად,</u>*** *რომელიც უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესში თითოეული მოსწავლის ჩართულობას / წარმოადგენს „ტრადიციული საგაკვეთილო პროცესის“ ალტერნატივას (იხ. დანართი* №3 სკოლის გზამკვლევი სწავლა-სწავლების პრინციპებზე).
2. „მოსწავლე სუბიექტის'' საგანმანათლებლო პრინციპის და ინკლუზიური განათლების პარადიგმის რეალიზებას ხელს უწყობს როგორც კეთილგანწყობილი/პოზიტიური გარემო სადაც მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ, ასევე თემის ფარგლებში გამოკვეთილი შემოქმედებითი დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო რესურსები, სასწავლო შინაარსი და *<u>შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესი როგორც სწავლების მეთოდი.</u>* აღნიშნული პირობების დაცვა უზრუნველყოფს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების (შემოქმედებითობა; კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; კრიტიკული აზროვნება; ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) გააქტიურებას, სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად, მათი ინტერესების და შესაძლებლობების მიხედვით წარმართვას. ამ უნარების გააქტიურებაზე მუშაობს ყველა საგნის მასწავლებელი სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო), თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით.

3. შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკაში მოცემული კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება მოსწავლეებზე ზეპირი და წერილობითი განმავითარებელ უკუკავშირის მიცემა.
4. პოზიტიური სასწავლო გარემო გულისხმობს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში ხორციელდება მოსწავლეთა მიღწევებზე მონაცემების მოგროვება და სასწავლო ამოცანების მოგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთა.
5. პოზიტიურ სასწავლო გარემოში სასწავლო პროცესის წარმართვის ეფექტიანობისთვის, სკოლას ავითარებს იმ ტიპის სასკოლო კულტურას სადაც (იხ. დანართი №11 ადამიანური რესურსები მართვის პოლიტიკა):
   - ❖ ორიენტირება ხდება სასკოლო საზოგადოების წევრების შინაგან და არა გარეგან მოტივაციაზე;
   - ❖ ორიენტირება ხდება ფორმალისტური ვალდებულებების შემცირებაზე;
   - ❖ ორიენტირება ხდება ჰორიზონტალურ ურთიერთობებზე და არა მკაცრ, ავტორიტარულ, ცენტრალიზებულ მიდგომებზე;
   - ❖ ორიენტირება ხდება მხარდაჭერაზე და არა დასჯა-წახალისებაზე;
   - ❖ ორიენტირება ხდება ურთიერთდახმარებაზე და არა მასწავლებლებს შორის კონკურენციაზე.
6. „მოსწავლე სუბიექტის'' საგანმანათლებლო პრინციპის და ინკლუზიური განათლების პარადიგმის რეალიზებას კეთილგანწყობილ სასწავლო გარემოსთან, შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესთან, პოსტფორდისტული სასკოლო კულტურის განვითარებასთან ერთად ხელს უწყობს სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი. სკოლის გარემო ისეა მოწყობილი, რომ უზრუნველყოფს სკოლაში არსებული მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლის შენობაში არსებული ინფრასტრუქტურა კი ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა/მასწავლებლებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

მუხლი 6. პრიორიტეტული მიმართულებები, სკოლის პროექტები

1. სკოლის ერთ-ერთი მიზანია მოსწავლეთა სოციალიზაცია და ინდივიდუალიზმის, დამოუკიდებლობის ხელშეწყობა (სუბიექტივიზაცია). ამ მიზნის მისაღწევად სკოლის ერთ-ერთი ამოცანაა მოსწავლთა საჭიროებების, მზაობის და ინტერესების გათვალისწინებით სასკოლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კოგნიტური/შემეცნებითი სფეროს განვითარების პარალელურად (მოსწავლეების მიერ ცნებების შინაარსის საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებით გააზრებას) სოციო-ემოციური სფეროს განვითარებას და ხელს შეუწყობს პრიორიტეტულ მიმართულებეზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას.
2. სასკოლო საზოგადოება (მასწავლებლები, მოსწავლეები, დირექცია, ხარსხის ჯგუფი, ფსიქოლოგი, PR მენეჯერი) გაერთიანებული სამუშაო შეხვედრების (საგნობრივი განვითარების გუნდების, მასწავლებელთა ფორუმის,მოსწავლეთა ფორუმის, სასკოლო კლუბების) ფორმატში აანალიზებს განხორციელებულ კურიკულუმებს, სამოქმედო გეგმით მონიშნული აქტივობების განხორციელების ხარისხს და შედეგს, აანალიზებს მოსწავლეების როგორც აკადემიურ ასევე სოციო-კულტურულ გამოწვევებს და აღნიშნულის საფუძველზე აქტიური თანამშრომლობით გეგმავს/ახორციელებს საჭიროების შესაბამის საერთო პროექტებს (იხ.დანართი საქაღალდე №3). საერთო მთელი წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტების ქუდის ქვეშ კი მოინიშნება მრავალი აქტივობა რომელიც მიემართება პროექტის ამოცანებს.

აღნიშნული უზრუნველყოფს პროექტების საერთო დიდი მიზნისკენ მიმართვას და ასევე სასკოლო საზოგადოების ერთიან/გუნდურ მოქმედებას. (ვინაიდან ამოცანები და მიზნები საერთოა).

3. სასკოლო პროექტებზე მუშაობისას სკოლა ეყრდნობა შემდეგ კრიტერიუმებს:
   - ❖ პროექტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები;
   - ❖ პროექტები იგეგმება მოსწავლეთა ჩართულობით;
   - ❖ პროექტის განხორციელება იძლევა მოსწავლეთა თანაბრად ჩართვის შესაძლებლობას;
   - ❖ პროექტები ორიენტირებულია დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე;
   - ❖ პროექტი ორიენტირებულია სამიზნე ცნების/ცნებების სიღრმისეულ გააზრებაზე;
   - ❖ პროექტი ხელს ეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას;
   - ❖ პროექტი გამოკვეთს ინტერდისციპლინურ კავშირებს, ასევე კლასებს/საფეხურებს შორის კავშირებს;
   - ❖ პროექტი ითვალისწინებს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობას და სასკოლო საზოგადოების/თემის ჩართულობას;
   - ❖ პროექტი ავითარებს თემთან/გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს.
4. სასკოლო პროექტების განხორციელების მონიტორინგი - აქტივობების განმხორციელებელი და PR მენეჯერი უზრუნველყოფს გაზიარებულ (დრაივზე ან სხვა მეთოდით) ფაილსა და საქაღალდეში მტკიცებულებების მოგროვებას აქტივობის ქუდის ქვეშ. PR მენეჯერი ადმინისტრირებას უწევს ინფორმაციის დროულად ასახვას. სკოლის PR მენეჯერი, ხარისხის ჯგუფი, მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭოს წევრები აკვირდებიან პროექტის განხორციელების პროცესს, რომლის დროსაც ხდება აქტივობების განმხორციელებელებზე ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდება მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭოს წევრები და PR მენეჯერი გეგმის ჩარჩოში შეიყვანენ ინფორმაციას აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ. (შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, ვერ შესრულდა, შეჩერდა).
5. პროექტის დასრულების შემდეგ პროექტის ავტორი/პროექტზე მომუშავე ჯგუფი აფასებს პროექტს, ესე იგი აანალიზებს პროექტის განხორციელების პროცესს და პროექტის შედეგებს საკვანძო შეკითხვებზე პასუხით: -
   - ❖ რამდენად იქნა პროექტის მიზანი და ამოცანები მიღწეული?
   - ❖ რამდენად ზუსტად პასუხობს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს შედეგები?
   - ❖ რამდენად ეფექტიანი იყო პროექტის განხორციელების პროცესი (განხორციელებული აქტივობები რამდენად კარგად შესრულდა და აკმაყოფილებს თუ არა კრიტერიუმებს)?
   - ❖ რა ძირითადმა მიზეზებმა გამოიწვია ამოცანების მიუღწევლობა/აქტივობების ვერ განხორციელება (არსებობის შემთხვევაში)?
   - ❖ გაგრძელდება თუ არა ის სარგებელი, რომელიც მიზნის განხორცილებას მოჰყვა?
   - ❖ რამდენად შეიძლება დაფიქსირებული გავლენა გრძელვადიანი იყოს, რა შეიძლება გაკეთდეს მიღწეული შედეგების მდგრადობისთვის? აღნიშნული შინაარსობრივი ანალიზის შემდეგ იქმნება პროექტის შესრულების ანგარიში.
6. ანგარიში საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებგვერდზე ან/და სოციალური მედიაში ან/და საჯარო ღონისძიებებზე(სკოლის გაერთიანებული შეხვედრა) მოხდება მისი წარდგენა.

7. სასკოლო პროექტებთან ერთად პრიორიტეტულ მიმართულებებზე ცნობიერების ზრდას ითვალისწინებს, სასწავლო პროცესი - შემოქმედებითი დავალების პირობები, სასწავლო შინაარსი და რესურსები.

მუხლი 7. საგანთა შორის ინტეგრირება და ტექნოლოგიების მიზნობრივად გამოყენება

1. ინტეგრირება ეხმარება მოსწავლეს ცნებების ღრმად და მრავალმხრივად გააზრებაში. სკოლაში ინტეგრირება აპრობირებულია სამი გზით:
   - <u>თემაზე დაფუძნებით ინტეგრაცია</u> - ვუწოდებთ ვითარებას, როდესაც მოსწავლე მაგალითად საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ცნებების გასააზრებლად ამუშავებს თემას "საზოგადოებაში თანაცხოვრება", რომელზე მუშაობაც ერთი თვე შეიძლება გრძელდებოდეს და ქართულშიც ცნებების გასააზრებლად იმავე თემას ამუშავებს პარალელურ რეჟიმში სხვადასხვა ნაწარმოებებზე დაფუძნებით. ესე იგი საერთო თემა/კონტექსტი არის გამამთლიანებელი, რომელშიც სხვადასხვა/მრავალი შემოქმედებითი დავალება შეიძლება რეალიზდეს, სხვადასხვა მასალის/რესურსის დამუშავებით.
   - <u>საკითხზე დაფუძნებით ინტეგრაცია</u> - ვუწოდებთ ვითარებას, როდესაც საერთო საკითხი/მასალა გამოიყენება სხვადასხვა საგნის სამიზნე ცნებაზე ორიენტირებისთვის; მაგალითად, საკითხი/მასალა „საფრანგეთის რევოლუცია“ შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც ისტორიის (სამიზნე ცნება - ძალაუფლება), ისე მოქალაქეობის (სამიზნე ცნება - დემოკრატია) პერსპექტივიდან. ესე იგი საერთო მასალა მუშავდება სხვადასხვა შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში.
   - <u>შემოქმედებით დავალების პირობაზე დაფუძნებით ინტეგრაცია</u> - ვუწოდებთ ვითარებას, როდესაც ერთი შემოქმედებითი დავალების პირობის კონტექსტი გამოიყენება ორი ან მეტი საგნის საკითხების ურთიერთდაკავშირებულად დასამუშავებლად. მაგალითად, შემოქმედებითი დავალება, რომლის პროდუქტიც ითვალისწინებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოსაჩენად კოლაჟის შექმნას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც სამოქალაქო განათლების, ისე სახვითი და გამოყენებით ხელოვნების სამიზნე ცნებებზე გასასვლელად.
2. ინტეგრირების ზემოხსენებული მექანიზმები ხელს უწყობს პრიორიტეტული მიმართულებების ფორმალურ განათლებაში შემოყვანას.
3. ტექნოლოგიები სწავლა-სწავლების პროცესში ორ ფუნქციას ასრულებს:
   - მათი საშუალებით სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო ხდება მოსწავლისთვის; - სკოლაში უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსი (ლეპტოპები, კლასებში პროექტორები, ხმის ჩამწერები, ვიდო გადამღები, განათება, Wifi-ის გავრცელება მთელ სკოლაში,) შესაბამისად სასწავლო პროცესში მასწავლებელი და მოსწავლე გრიფირებული წიგნის გარდა იყენებს და ქმნის სხვადასხვა ვალიდურ რესურსს.
   - მათი საშუალებით უფრო ეფექტურად მიმდინარეობს კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.- სკოლაში კომუნიკაცია ძირითადად მიმდინარეობს ელექტრონული ჟურნალი- schoolbook-ის პლატფორმაზე. ასევე სოციალური ქსელის ჩათების გამოყენებით.

მუხლი 8. მოსწავლის შეფასების სისტემა

1. შეფასება არის პროცესის, შედეგის შესაბამისობის დადგენა წინასწარ განსაზღვრულ ნიშან-თვისებებთან (კრიტერიუმებთან). შეფასება სწავლა-სწავლების საყრდენია. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის (იხ.დანართი №4 - შეფასების სისტემის კონცეფცია).
2. შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა. რაც გულისხმობს ერთი მხრივ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ სწავლა-სწავლების ხარიხის მონიტორინგს.
3. შეფასების ამოცანებია:
   - მოსწავლის სწავლის ხელშეწყობა - შეფასების დროს მოსწავლე, მასწავლებლის გამოხმაურებისა/ნიშნების და კომენტარების დახმარებით, მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც საკუთარი სწავლის გათვითცნობიერებაში ეხმარება.
   - მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება (საჭიროებების და ძლიერი მხარეების გამოვლენა) მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად (სამიზნე ცნებების გააზრება, სასწავლო პროცესში ჩართულობა);
   - მოსწავლის მიღწევების / სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნა;
   - მონაცემების შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
   - სწავლების კონკრეტული მეთოდების, სტრატეგიების, შინაარსის, რესურსების ეფექტიანობის განსაზღვრა და სრულყოფა.
   - მშობლების ჩართვა პროცესში და მათთან კომუნიკაციის გამყარება.
4. შეფასებას აქვს პრინციპები - **ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა, სანდოობა** - რომელთა გათვალისწინებითაც ხორციელდება შეფასება. ეს პრინციპები არის საკვანძო და მათთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს შეფასების პროცესი;
   - **შეფასების ვალიდურობა** - მიემართება შეფასების ***ინსტრუმენტს*** და გულისხობს, რომ შემუშავებულ შეფასების რუბრიკაში და ინსტრუმენტში, შეფასების კრიტერიუმებით ნათლად არის ასახული რომელი ცნების გააზრებას მიემართება შეფასება (მკაფიოდ არის წარმოჩენილი რა იგულისხმება კონკრეტულ დავალებაში ცნების გააზრებაში.). ვალიდურობა ასევე გულისხმობს რამდენად ზუსტად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. კრიტერიუმები ისეა აღწერილი რომ ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას (ამა თუ იმ ცნების ქუდის ქვეშ-გაიხსენე, დააკავშირე, შეადარე, გაანალიზე, იმსჯელე, ახსენი, შეაფასე). შეფასების რუბრიკები სწორედ კრიტერიუმების საფუძველზე დგება.
   - **შეფასების გამჭვირვალობა**- მიემართება შეფასების ***პროცესს*** და გულისხმობს იმას, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს წინასწარ შეუთანხმდება/აცნობებს, თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება სასწავლო პროცესი და მოსწავლის შედეგი. ესე იგი მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლეს ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. ასე მოსწავლემ იცის რა არის წარმატებული შედეგი.
   - **შეფასების სამართლიანობა** - მიემართება შეფასების ***პროცესს*** და გულისხმობს, იმას რომ სასწავლო/შეფასების პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ ყველა თანაბარ პირობებშია, კერძოდ: შეფასების დრო, გარემო, გამოყენებული მასალა, ინფრასტრუქტურა და ა.შ.საშუალებას აძლევს მოსწავლეს ჩაერთოს პროცესში და წარმოაჩინოს თავისი ცოდნა/დაადასტუროს მიღწეული შედეგები.

- **შეფასების ობიექტურობა** - მიემართება შეფასების ***პროცესს*** და გულისხმობს, რომ მოსწავლეები დავალების/პროდუქტის ერთ დონეზე შესრულების პირობებში ერთნაირად არიან შეფასებული.
- **შეფასების სანდოობა** - მიემართება შეფასების ***მტკიცებულებას*** და გულისხმობს, რომ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

5. სკოლაში ჩამოყალიბებულია ორი ტიპის შეფასება **განმავითარებელი და განმსაზღვრელი.** განმავითარებელი ან/და განმსაზღვრელი შეფასებით ვაფასებთ საკლასო და შემაჯამებელ სამუშაოს.
6. სკოლაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენება I-XII კლასებში, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება V-XII კლასებში.

მუხლი 8[1]. განმავითარებელი შეფსება

1. **განმავითარებელი შეფასება** - მიემართება სწავლის **პროცესს** და ემსახურება მოსწავლეთა სწავლის პროცესის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასების წარმოების დროს, მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ერთი მხრივ მოსწავლის სწავლის პროგრესზე (ცნებების გააზრების დონე, საგნობრივ საკითხთან მიმართებით, **შემოქმედებითი დავალების შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით**) და ასევე მოსწავლის პიროვნული პოტენციალის განვითარების და რეალიზების შესაძლებლობზე. ესე იგი ცნებების გააზრების პროგრესის პარალელურად ყურადღება გამახვილებულია ფუნქციურ უნარებზე და მათთან დაკავშირებულ კოგნიტურ ოპერაციებზე.
2. განმავითარებელი შეფასება ემსახურება სწავლების დარეგულირებას - დაგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით თითოეული მოსწავლისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენასა და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი იღებს ინფორმაციას მოსწავლის სასწავლო საჭიროებების შესახებ (სამიზნე ცნებების გააზრების ხარისხი/შემოქმედებითი დავალების შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ასევე ფუქნციური უნარების განვითარება), რათა დაეხმაროს მას სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.
3. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება **მთელი სწავლის პროცესის განმავლობაში** და წარმოადგენს შეფასებას სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის (სასწავლო პროცესში/შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეების ჩართულობის დაკვირვებაზე დაყრდნობით მასწავლებელი ადგენს მოსწავლეების მიერ ცნებების შინაარსის გააზრების დონეს/შემოქმედებით დავალების შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ასევე ფუნქციური უნარების გააქტიურების დინამიკას. სწორედ ამ განზოგადებების საფუძველზე მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესში აკეთებს მიმართულების მიმცემ განმავითარებელ კომენტარს) ***„სწავლისათვის შეფასება“*** (Assessment **for** Learning). **შემოქმედებითი დავალების წარდგენის შემდეგ კი, შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკაში მოცემული კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეებს აწვდის წერილობით განმავითარებელ უკუკავშირს** (იხ.დანართი №5 - განმავითარებელი შეფასების ჩარჩო).
4. განმავითარებელი შეფასება განიხილავს **მოსწავლეს როგორც ამ პროცესის მთავარ მონაწილეს.** განმავითარებელი შეფასების დროს **შემფასებელი მასწავლებელთან ერთად არის თავად მოსწავლეც** (იხ.დანართი №6 - მოსწავლის თვითშეფასების ჩარჩო; დანართი №7 -

მოსწავლის მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჩარჩო), მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სასწავლო პროცესში/შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში და შემოქმედებითი დავალების წარდგენის დროს გააკეთონ თვითშეფასება, ასევე გასცენ და მიიღონ უკუკავშირი თავიანთი თანაკლესელებისგან (ურთიერთშეფასება). წახალისებულია მოსწავლეებში მეტაკოგნიტური და კოგნიტური სტრატეგიები **თვითშეფასების** მიზნით. მოსწავლე პროცესში და შემოქმედებითი დავალების წარდგენის დროს მასწავლებლის და კლასელების გამოხმაურებისა და კომენტარების დახმარებით, მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც საკუთარი სწავლის გათვითცნობიერებაში ეხმარება. ასე მოსწავლე სწავლობს როგორ ისწავლოს (სწავლის სწავლა), აანალიზებს რა ხერხებს იყენებს სასწავლო ამოცანების გადასაჭრელად და რამდენად ეფექტიანია ეს ხერხები, ესე იგი აკეთებს თვითშეფასებას. **მოსწავლის ჩართულობა შეფასებას რეალურ საზრისს ანიჭებს** სკოლაში სწავლება და შეფასება ერთიანი, განუყოფელი საერთო პროცესია - **შეფასება როგორც სწავლება** (Assessment **as** learning).

5. განმავითარებელი შეფასების წარმოებისას მასწავლებელი ითვალისწინებს განმავითარებელი შეფასების 5 ფაქტორს:
   - ❖ რომელ ცნებაზეა ორიენტირებული განმავითარებელი შეფასება;
   - ❖ რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების გააქტიურებას? (მასწავლებელი ფუნქციური უნარების გააქტიურების საკითხს აკვირდება, საკუთარი საქმიანობის რეფლექსიისთვის, ესე იგი თუ შემოქმედებთ დავალებაზე მუშაობამ ხელი შეუწყო მოსწავლეებში ფუნქციური უნარების გააქტიურებას პროცესი წარმატებული იყო).
   - ❖ რამდენად ეფექტურად გამოიყენება განმავითარებელი უკუკავშირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად;
   - ❖ რამდენად იყენებენ მოსწავლეები ურთიერთშეფასების სტრატეგიებს;
   - ❖ რამდენად აქცევს მოსწავლე ყურადღებას მეტაკოგნიტურ ასპექტებს (სწავლის სწავლა).
6. თემის ფარგლებში შემოქმედებით დავალებებზე მუშაობის პროცესი და დავალების წარდგენა/პრეზენტაცია, არის ცნებების შინაარსის გააზრებაში მოსწავლის პროგრესზე მონაცემების მოგროვების და ანალიზის წყარო (იხ.დანართი №5 - განმავითარებელი შეფასების ჩარჩო). კერძოდ სპეციალურ ჩარჩო ფორმაში *აღიწერება* სასწავლო პროცესში, შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისას მოსწავლის <u>პროგრესი</u> სამიზნე ცნებების გააზრების მიმართულებით. შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკაში მოცემული კრიტერიუმების ანალიზით. ესე იგი გაანალიზდება და აღიწერება რამდენად რეალიზებულია შეფასების კრიტერიუმი მოსწავლის მიერ და რით არის განპირობებული მოსწავლის წარმატება/ხარვეზი. თითოეული მოსწავლის შედეგი/პროგრესი ფასდება თითოეულ გრძელვადიან **მიზანთან/სამიზნე ცნებასთან** მიმართებით. ეს შეფასება ოთხ დონედ იყოფა:
   - **მოცემულობის გააზრების პრობლემა** - მოსწავლე ვერ იგებს სამიზნე ცნების გააქტიურებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს; არ/ვერ ერთვება სამიზნე ცნების შინაარსის გააზრებაზე ორიენტირებულ აქტივობებში; საკითხის შინაარსს ვერ უკავშირებს სამიზნე ცნებას;

   - **ცნების ფრაგმენტული გააზრება** - მოსწავლე პასუხობს სამიზნე ცნების გააქტიურებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს; ერთვება სამიზნე ცნების შინაარსის გააზრებაზე ორიენტირებულ აქტივობებში, მეტწილად იხსენებს/ასახელებს/ჩამოთვლის შინაარსთან დაკავშირებულ მოცემულობებს თუმცა:

- ვერ ახერხებს ცნებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მოვლენის/ფაქტის/შინაარსის შედარებას, განსხვავებას. (აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა საკითხთან/ცნებასთან დაკავშირებით)
- ვერ ახერხებს ცნების შინაარსის გაანალიზებას.
- ვერ ავითარებს მსჯელობას.

▪ **ცნების იდეის დონეზე გააზრება** - მოსწავლე საკითხის/მაგალითების შინაარსს აღწერს და უკავშირებს სამიზნე ცნებას, თუმცა:
- მის ანალიზი და მსჯელობა შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს; ან/და
- მის მიერ გაკეთებული დასკვნები/განზოგადებები ფრაგმენტული და არათანმიმდევრულია;

▪ **ცნების სიღრმისეული გააზრება** - მოსწავლე;
- კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად, იაზრებს, აანალიზებს, ხსნის სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ საკითხს და ავითარებს მსჯელობას სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით (მოჰყავს მაგალითები, ადარებს სხვა საკითხებს...);
- ურთიერთადაკავშირებულად აანალიზებს სამიზნე ცნების არსებით ნიშან-თვისებებს (მკვიდრ წარმოდგენებს);
- *კონკრეტულ სამიზნე ცნებას უკავშირებს საგნის სხვა სამიზნე ცნებებს.*
- ***განაზოგადებს ცნებას, ქმნის და აყალიბებს ჰიპოთეზას/თეორიას/კრიტიკას. აკავშირებს ცნებას ზესაგნობრივ ცნებებსა თუ თეორიებთან.***

7. თემის ფარგლებში შემოქმედებით დავალებებზე მუშაობის პროცესი და დავალების წარდგენა/პრეზენტაცია ასევე არის მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის შესახებ მონაცემების მოგროვების და ანალიზის წყარო. მოსწავლის ჩართულობაზე დაკვირვება, მასწავლებელს ეხმარება რეფლექსიისთვის, რათა ზუსტად გააანალიზოს რამდენად შეუწყო ხელი შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების გააქტიურებას? რამდენად ეფექტური და საინტერესო იყო დავალების პირობა? შერჩეული კონტექსტები/შინაარსი? გამოყენებული რესურსები? *სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობის ხარისხი, აღიწერება სამი დონის მიხედვით:*
   - ***პასიურობა*** *- მოსწავლე პასიურია; პრაქტიკულად არ მონაწილეობს სასწავლო პროცესში;*
   - ***დავალების ჩაბარების სურვილით განპირობებული ჩართულობა*** *- მოსწავლის არ/ვერ ეკიდება სერიოზულად სასაწვლო პროცესს; სასწავლო პროცესში მის ჩართულობას აქვს არასისტემური ხასიათი;*
   - ***ცნობისმოყვარეობისა და შემეცნების სურვილით განპირობებული ჩართულობა*** *- მოსწავლე მუშაობს და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. მუშაობის პროცესში ავლენს/ურთიერთდაკავშირებულად იყენებს შემდეგ ფუნქციურ უნარებს: კრიტიკული აზროვნება; შემოქმედებითობა; კოლაბორაცია; კომუნიკაცია; მოქალაქეობა (პასუხისმგებლეობა/ემპათია); ხასიათი / ნებელობა.*

მუხლი 8². განმსაზღვრელი შეფსება

1. **განმსაზღვრელი შეფსება** - მიემართება სწავლის **შედეგს** და ადგენს მოსწავლის **აკადემიური მიღწევის დონეს,** სასწავლო მიზნებთან მიმართებით (ცნებების გააზრება). განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის **შედეგების** აღწერას. შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ხორციელდება, როგორც პროცესის **შემაჯამებელი** საკითხის თემის, სემესტრის დასასრულს. ***„სწავლის შეფასება“*** (Assessment **of** Learning).
2. სკოლაში განმსაზღვრელი შეფასება/ნიშანი იწერება საკლასო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტებში.
3. სკოლაში განმსაზღვრელი შეფასების ფორმაა ქულით შეფასება (დიფერენცირებული) და ჩათვლით შეფასება (არადიფერენცირებული).
4. არადიფერენცირებული შეფასება (ჩათვლა) გამოიყენება სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში, არჩევით საგნებსა და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით შეთავაზებულ საგნებში. საშუალო საფეხურზე პროექტებში – სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკაში, სამოქალაქო განათლებაში - მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით (წერილობითი და /ან ზეპირი ფორმით).
5. სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:
   ა) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში; სემესტრული ქულა გამოითვლება მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; სემესტრული ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით. (სემესტრული ქულის ამაღლება შესაძლებელია გამოცდით იხ. ქვემოთ).
   ბ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიური ქულა გამოითვლება საგნის სემესტრის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;
   გ) საგნის საფეხურის ქულა - საფეხურის განმავლობაში თითოეულ კლასში მიღებული საგნის წლიური ქულის საშუალო არითმეტიკული;
   დ) საფეხურის ქულა გამოითვლება საგნების საფეხურის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.
6. განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები აუცილებლად მიემართება ცნებებს.
7. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მოსწავლის **პოზიტიური თვითშეფასების** ჩამოყალიბებას.
8. შემაჯამებელი დავალება წარმოადგენს შინაარსიან დავალებას, რომლის შესრულებაც მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას. შემაჯამებელი დავალების შეფასების კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებას.
9. შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა საგნების მიხედვით განისაზღვრება საგნობრივი განვითარების გუნდების და მასწავლებელთა ფორუმის გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრებზე, განვლილი წლის შედეგების მონაცემების ანალიზის საფუძველზე, როდესაც გაზიარდება მონაცემები მოსწავლეთა მიღწევებზე ცნებების გააზრების მიმართულებით. (იხ.დანართი №9 - შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჩარჩო).
10. შემაჯამებელი დავალების და შემაჯამებელი შეფასების კრიტერიუმების შესახებ მოსწავლეს ეცნობება შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარებამდე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე.
11. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა აძლევს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალებას შემაჯამებელი დავალების ჩატარებიდან 1 კვირის განმავლობაში.
12. I-IV კლასებში შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

13. V -XII კლასებში შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება.
14. განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება განმავითარებელი მიზნებისთვისაც.
15. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით:

ქულები	შეფასების დონეები	შეფასების დონეების აღწერა
10 9	მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
8 7	საშუალოზე მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
6 5	საშუალო	მოსწავლე მსჯელობს საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ცნებების გააზრების მიმართულებით.
4 3 2 1	დაბალი	მოსწავლის მსჯელობა საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.

16. სკოლაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, იქმნება შედეგის მიღწევის ინდიკატორიდან. ისინი დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით (იხ.დანართი №8 - განმსაზღვრელი შეფასების ჩარჩო).
17. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნის ნაბიჯები:
    - სწავლის საფეხურებრივი შედეგის მიღწევის ინდიკატორი გარდაიქმნება საკითხების შეფასების კრიტერიუმად (ესე იგი ზოგადი ინდიკატორი კონკრეტული საკითხების შემოყვანით გარდაიქმნება შეფასების კრიტერიუმად);
    - შეფასების კრიტერიუმში ნათლად აისახება, რომელი სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებას მიემართება შეფასება;
    - კონკრეტდება სამიზნე ცნება საკითხთან/ საკითხებთან მიმართებით (ქვეცნებების საშუალებით);
    - ნათლად აღიწერება რა იგულისხმება საკითხის/საკითხების ფარგლებში ცნების გააზრებაში. (მოსწავლემ უნდა შეძლოს.....)
    - თითოეულ კრიტერიუმის ენიჭება გარკვეული ქულობრივი წონის (მაგ, 2 ქულა, 1 ქულა, 0, 5 ქულა და სხვა);
    - შეფასების სქემაში აღიწერება როგორ იწერება კრიტერიუმის მაქსიმალური, ნახევარი ქულა, და როდის არ იწერება ქულა.
    - შეფასების კრიტერიუმით წარმოჩინდება მხოლოდ დადებით ნიშანების (5,6,7,8,9,10) დაწერის ლოგიკა. არადამაკმაყოფილებელი ნიშნები 4,3,2,1 შეფასების კრიტერიუმებით არ აღიწერება;
    - შეფასების რუბრიკა შესაძლოა მოიცავდეს ყველა სამიზნე ცნებას, ან ორიენტირდებოდეს მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მათგანზე;

- *<u>გუნდური მუშაობა, ემპათია, თავდაჯერებულობა, დისციპლინა, დავალების პრეზენტაციის ვიზუალური მხარე, და სხვა მსგავსი საკითხები განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმით არ ფასდება.</u>*

მუხლი 8³. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია

1. ვერიფიკაცია არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის - ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის, ობიექტურობის, სანდოობის - საკითხის მონიტორინგი და ანალიზი. ესე იგი ვერიფიკაცია არის ლუსტრაცია (შემოწმება) იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს.
2. სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხორციელდება მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალ წყაროზე და რესურსზე დაყრდნობით (იხ.დანართი №4 - შეფასების სისტემის დებულება). კერძოდ:
   - სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე 6ჯერ საგნობრივი განვითარების გუნდების და ხარისხის ჯგუფის სამუშაო შეხვედრებზე გაანალიზდება განხორციელებული სასწავლო პროცესი/კურიკულუმი კერძოდ - მასწავლებლების მიერ <u>მოსწავლეთა ნაშრომების</u> საფუძველზე კონკრეტული მაგალითებით გაზიარდება მონაცემები მოსწავლეთა მიღწევებზე. ასევე გაზიარდება ხელშესახები მიგნებები განხორციელებული - შემოქმედებითი დავალებების, **შეფასების კრიტერიუმების,** სასწავლო შინაარსის, რესურსების, მეთოდების - ვალიდურობის და ეფექტიანობის შესახებ. სამუშაო შეხვედრაზე ხორციელდება კორელაციის დადგენა კერძოდ: რამდენადაა ურთიერთდაკავშირებული დავალების პირობა და შეფასების კრიტერიუმი; დავალების პირობა და გამოყენებული სასწავლო რესურსი/მასალა; შეფასების კრიტერიუმი და გამოყენებული სასწავლო რესურსი/მასალა. დავალების პირობა და გამოყენებული სწავლების მეთოდები/სტრატეგიები; შეფასების კრიტერიუმი და გამოყენებული სწავლების მეთოდები/სტრატეგიები. რომლის საფუძველზეც <u>ერთობლივად</u> <u>იგეგმება</u> სასწავლო პროცესი / იქმნება საგნობრივი კურიკულუმები კერძოდ სამუშაო შეხვედრის მეორე ნაწილში - განისზღვრება შემოქმედებითი დავალების პირობები, **შეფასების კრიტერიუმები,** სასწავლო შინაარსები, სასწავლო რესურსები. განისაზღვრება სასწავლო მეთოდების და სტრატეგიების რაკურსი და ჩარჩო ფორმაში აისახება გადამუშავებული კურიკულუმები. ვინაიდან სამუშაო შეხვედრაზე ერთობილვად იქმნება შეფასების კრიტერიუმები ეს*<u>, თავიდანვე უზუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობის.</u>*
   - კურიკულუმის განხორციელება და მონაცემების მოგროვება, პრაქტიკის აღწერა კურიკულუმის ჩარჩო ფორმებში და <u>ელექტრონული ჟურნალი schoolbook-ის პლატფორმაზე კლასის, საგნის ქუდის ქვეშ სისტემატური ასახვა/ატვირთვა</u> - დავალებების პირობების, **შეფასების კრიტერიუმების,** სასწავლო რესურსების, მასალის, დროითი ჩარჩოს მონიშვნა. დავალების შესრულების შემდეგ კი მოსწავლეთა ნამუშევრების(ტესტი, ესე, რეფერატი, პროექტი და ა.შ) გაზიარებულ საქაღალდეში ან/და ელექტრონული ჟურნალი schoolbook-ის პლატფორმაზე ატვირთვა. აღნიშნული უზრუნველყოფს როგორც შეფასების კრიტერიუმების ვალიდურობის დადგენას, ასევე შეფასების პროცესის გამჭვირვალობის (ვინაიდან ნათელია მასწავლებელი წინდაწინ ტვირთავს ინფორმციას თუ არა) ასევე პროცესის სამართლიანობის (ვინაიდან ჩანს რა რესურსს რა დროს უთმობს მასწავლებელი პროცესს), ნამუშევრის ატვირთვის შემდეგ კი შეფასების პროცესის ობიექტურობის(ვინაიდან ხდება ნამუშევრის და შედეგების შედარება) და სანდოობის (მტკიცებულება ნაშრომის სახით) დადგენას. ხარისხის ჯგუფი აანალიზებს ელექტრონული ჟურნალი schoolbook-ის პლატფორმაზე მასწავლებლის, კლასის პროფილს სადაც ასახულია დავალებები, რესურსები, შეფასების ინსტრუმენტები და კრიტერიუმები, მონიშნულია პროცესზე

დათმობილი დრო. საჭიროებისამებრ ხარისხის ჯგუფი ხვდება მასწავლებლებს ინდივიდუალურად აქტიური თანამშრომლობის და დისკუსიის ფორმატში მასწავლებლების მხარდაჭერის მიზნით ხორციელდება რეკომენდაციების მიცემა შეფასების ინსტრუმენტის, პროცესის თუ მტკიცებულების შესახებ. ასევე სასწავლო რესურსების, შინაარსის, მეთოდების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დასწრება. აღნიშნული პროცესები აისახება ხარისხის ჯგუფის სამუშაო გეგმის თანდართულ Microsoft Excel-ის დოკუმენტში და ასევე საჭიროებისამებრ შევა ხარისხის ჯგუფის სამუშაო გეგმის ანგარიშში. (აღნიშნული წარედგინება სკოლის დირექტორს). ასევე მოსწავლეთა ინდივიდუალური თუ ჯგუფური ან კლასის მომართვის საფუძველზე ხორციელდება შეფასების - ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის, ობიექტურობის, სანდოობის საკითხის დადგენა.

მუხლი 9. გამოცდის ტიპები

1. სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:
   ა) სემესტრული გამოცდა (სემესტრული ქულის ამაღლების მიზნით);
   ბ) საშემოდგომო გამოცდა;
   გ) ექსტერნატის გამოცდა;
   დ) სადიაგნოსტიკო გამოცდა.
2. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.
3. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს: პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება არის დასაბუთებული.
4. გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
5. პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.
6. სემესტრულ გამოცდაზე სკოლა სთავაზობს მოსწავლეს შემაჯამებელი დავალების მსგავს სამიზნე ცნებების გააზრებაზე ორიენტირებულ, შინაარსიანი კონტექსტის მქონე დავალებებს.
7. სკოლაში საშემოდგომო გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს კლასში რომელიმე საგანში აქვს 5.0-ზე დაბალი წლიური შეფასება.
8. საშემოდგომო გამოცდა ტარდება მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე.
9. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა მოსწავლეს უწევს კონსულტაციებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მას დაენიშნა აღნიშნული ტიპის გამოცდა. კონსულტაციაში იგულისხმება ონლაინ ან სკოლის სივრცეში სამუშაო შეხვედრა არანაკლებ 5-ჯერ, რათა მოსწავლემ მასწავლებლის დახმარებით გაიაზროს სამიზნე ცნებები. მასწავლებელი შეხვედრების დროს მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს და მიმართულებებს სამიზნე ცნებების გააზრების კუთხით.

10. საშემოდგომო გამოცდა ტარდება სკოლის სივრცეში (ერთ-ერთ საკლასო ოთახში, ან საკონფერენციო ოთახში) მოსწავლეს ეძლევა სამუშაოდ 90 წუთი.
11. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე. საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.
12. ექსტერნატის გამოცდის ჩატარების წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.
13. სკოლაში სადიაგნოსტიკო გამოცდა ტარდება სასაწავლო წლის ბოლოს საკლასო წერის ფორმატში საგნობრივი ჯგუფის სხვადასხვა საგანში მოსწავლეთა, კლასის საჭიროების შესაბამისად. საგნობრივი განვითარების გუნდების და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის კონსესუსის შემდეგ.
14. განსაზღვრული თარიღის დადგომამდე ერთი კვირით/10 დღით ადრე მოსწავლეებს უზიარდებათ სასწავლო რესურსი (კონკრეტული კონტექსტ-მაგალითი, კონტექსტ-მაგალითები), რომელსაც სპეციალურად საკლასო წერისთვის შექმნილი ტესტური დავალება დაეფუძნება.
15. საკლასო წერას ყველა მოსწავლე წერს ერთდროულად. საამისოდ მათ 90-120 წუთი ეძლევათ.
16. მოსწავლეების ნაშრომებს ასწორებს საგნობრივი განვითარების გუნდის მასწავლებლები.
17. თითოეული მოსწავლის ნაშრომი ფასდება თითეულ გრძელვადიან მიზანთან/სამიზნე ცნებასთან (და მასთან დაკავშირებულ ქვეცნეებთან) მიმართებით 4 დონის მიხედვით - მოცემულობის გააზრების პრობლემა; საკითხის ფრაგმენტული გააზრება; საკითხის იდეის დონეზე გააზრება; საკითხის სიღრმისეული გააზრება. სადიაგნოსტიკო წერაში ნიშანი/ქულა არ იწერება.

მუხლი 10. კლასის/საფეხურის დაძლევა

1. სკოლაში კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ თითოეული საგნის წლიური ქულა არის 5.0 ან მეტი და არადიფერენცირებული შეფასების შემთხვევაში მოსწავლეს მიღებული აქვს "ჩათვლა". დაძლეული კლასის განმეორებით გავლა დაუშვებელია.
2. სკოლაში საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ თითოეული საგნის საფეხურის ქულა არის 5.0 ან მეტი და არადიფერენცირებული შეფასების შემთხვევაში მოსწავლეს მიღებული აქვს "ჩათვლა".
3. თუ მოსწავლეს კლასში რომელიმე საგანში აქვს 5.0-ზე დაბალი წლიური შეფასება, სკოლა მოსწავლეს სთავაზობს რემედიაციის პროგრამას საშემოდგომო გამოცდის ჩატარებამდე. რემედიაციის პროგრამა სპეციალურად იქმნება კონკრეტული მოსწავლისთვის სასწავლო პროცესში გამოკვეთილი შეფერხებების აღმოფხვრის მიზნით.
4. რემედიაციის პროგრამაში ჩართული მოსწავლის მობილობის შემთხვევაში სკოლა მოსწავლეს რიცხავს ასაკის შესაბამის კლასში და იღებს ვალდებულებას რემედიაციის გზით საგნის/საგნების დაძლევის თაობაზე.
5. გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია, სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.

6. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

6.1 იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

7. მოსწავლის გაცდენები აღირიცხება სკოლის ელექტრონულ ჟურნალში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ველში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. ელექტრონულ ჟურნალში მასწავლებლების მიერ გაცდენების დროულად შეყვანის მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი.

8. თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

9. ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზების მიზნით, სკოლას საჭიროებისამებრ შინ სწავლების რეჟიმზე გადაყავს მოსწავლე კერძოდ; სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, შინ სწავლების რეჟიმზე გადადის ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიეკუთვნებიან რისკჯგუფს პირისპირ სწავლების შემთხვევაში და აღნიშნული გარემოება ცნობილია სკოლისთვის.

10. მოსწავლეების შინ სწავლის მომენტიდან არ ვრცელდება ამ მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები.

11. შინ სწავლება ხორციელდება ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციის ფორმის გამოყენებით, მოსწავლე/მშობელი და მასწავლებელი თანხმდებიან სასურველ სოციალურ პლატფორმაზე(ZOOM, TEAMS და ა.შ). პროცესი რეკომენდებულია განხორციელდეს უშუალოდ სკოლაში მიმდინარე საგაკვეთილო პროცესის დროს. (სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი იძლევა ამ შესაძლებლობას). თუ კი უშუალოდ საგაკვეთილო პროცესის დროს ვერ ხერხდება ჩართვა, სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ 1 გაკვეთილის ჩატარებას, ხოლო ქართულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში კვირაში მინიმუმ 2 გაკვეთილის ჩატარებას.

მუხლი 11. სკოლის პროცესები

1. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ძირითადი, დამხმარე და მმართველობითი პროცესებით.

2. ძირითადი პროცესები პირველადი პროცესებია, რამდენადაც ისინი მიემართება იმ მთავარ საქმიანობას, რომელსაც სკოლა ახორციელებს საკუთარი მისიის და ხედვის რეალიზებისათვის, სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ძირითადი პროცესებია:

- ❖ კურიკულუმის განვითარება;
- ❖ სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა.

3. დამხმარე პროცესები სკოლის ძირითად პროცესებს ეფექტურად განხორციელებაში და რესურსების მიწოდებით ეხმარება. დამხამრე პროცესების შეიძლება ვუწოდოთ სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სფეროები. ამ პროცესებთან მიმართებით გადაწყვეტილებები, სასწავლო პროცესის საჭიროებებიდან გამომდინარე მიიღება. დამხმარე პროცესებია:

- ❖ პერსონალის (მასწავლებლები, სხვა თანამშრომლები) განვითარება;
- ❖ მოსწავლეთა სერვისების განხორციელება (აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება);
- ❖ ფინანსური რესურსებს მართვა;
- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ❖ ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ❖ საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- ❖ ბიბლიოთეკის სერვისის განვითარება;
- ❖ საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);
- ❖ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება;

4. მმართველობით პროცესი წარმოადგენს სკოლის საქმიანობის განვითარების პროცესებს (ინსტიტუციური განვითარება). მმართველობითი პროცესებია - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განვითარება.
5. სკოლის ყველა პროცესი არის ციკლური და გულისხმობს დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს, შეფასებას და რევიზიას.
6. მიზნების მისაღწევად გადასაჭრელი <u>ამოცანები საერთოა მთლიანად სკოლისთვის.</u> შესაბამისად სკოლის ყველა პროცესის განვითარება ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სასკოლო საზოგადოების ერთიანი, შეკრული, თანამშრომლობითი ქმედებით ნაცვლად ფუნქცია-მოვალეობების ხელოვნური ფრაგმენტაციისა. წინა წლის სკოლის საქმიანობის ანალიზის და შეფასების საფუძველზე, სამუშაო შეხვედრებზე ერთიანად <u>თანამშრომლობითი პრინციპების (whole school approach)</u> დაცვით, საერთო მიზნების და ამოცანების მისაღწევად იქმნება პროდუქტები, რომლებიც ერთობლივი მუშაობის შედეგს წარმოდგენს. კერძოდ: სასკოლო კურიკულუმი, სამოქმედო გეგმა, სასკოლო პროექტები, სტრუქტურული ერთეულების და პერსონალის სამუშაო გეგმა, სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტი (სახელფასო პოლიტიკა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და ა.შ.) არის ერთობლივად ურთიერთთანამშრომლობით საერთო ამოცანების გადაჭრაზე ორიენტირებით შექმნილი ერთობლივი პროდუქტი.

მუხლი 12. მმართველობითი პროცესები

1. სკოლა თაობის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი (2023-2030), ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს (ფილოსოფიას). გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს. შესრულების გაზომვად ინდიკატორებს და შიდა თუ გარე ფაქტორებზე დამოკიდებულ რისკებს (იხ.დანართი №1 სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა).

2. სკოლა თაობის სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია დირექტორის მიერ დამტკიცებული „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის'' შესაბამისად.
3. სტრატეგიული გეგმა შექმნილია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით/მონაწილეობით. მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
   - სამუშაო ჯგუფის მიერ (სასკოლო საზოგადოების წევრები) SWOT მეთოდოლოგიის გამოყენებით სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზება;
   - სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება (არსებობის შემთხვევაში - მათი გადახედვა) გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის;
   - ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავება (სტრატეგიული გეგმა ეხმიანება სკოლის მისიისა და ხედვას და უზრუნველყოფს მათ რეალიზებას);
   - პროექტების გაზიარება (სამუშაო შეხვედრებზე, ასევე ჩათებში) სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის/თემისთვის;
   - მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება;
   - სტრატეგიული გეგმის პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა;
   - სკოლის დირექტორის მიერ სტრატეგიული გეგმის პროექტის განხილვა;
   - სტრატეგიული გეგმის დამტკიცება დირექტორის მიერ და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის.
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არის დოკუმენტი (დანართი №2 სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა), რომელიც წარმოადგენს სკოლა თაობის სტრატეგიული მიზნებისკენ მიმავალ ყოველწლიურ გეგმას, რომელშიც ნათლად ჩანს მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის გამოკვეთილი სკოლის ავთენტური ''გზა". სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნების და ამოცანების შესრულების კონკრეტულ <u>აქტივობებს,</u> ინდიკატორებს, განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს და აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს.
5. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ესე იგი გროვდება მონაცემები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით. პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ იანვარში იქმნება სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში, პირველ სემესტრში მიღებული შედეგების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში შედის ცვლილება სამოქმედო გეგმაში.
6. ივნისის ბოლო კვირას გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრაზე ხორციელდება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საერთო ამოცანების გადასაჭრელად განხორციელებული აქტივობების განხილვა/წარდგენა/ანალიზი. პასუხი გაეცემა კითხვებს: რამდენად იქნა ამოცანები მიღწეული? რამდენად ზუსტად პასუხობს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს შედეგები? რამდენად ეფექტიანი იყო განხორციელების პროცესი? რა ძირითადმა მიზეზებმა გამოიწვია ამოცანების მიღწევა ან მიუღწევლობა? (დადებითი პრაქტიკა და გამოწვევის იდენტიფიცირება) გაგრძელდება თუ არა ის სარგებელი, რომელიც ამოცანების განხორციელებას მოჰყვა? რა შეიძლება გაკეთდეს მიღწეული შედეგების მდგრადობისთვის? ესე იგი გაანალიზდება და მიენიჭება სტატუსი შესრულებულ, ვერ შესრულებულ და ნაწილობრივ შესრულებულ აქტივობებს. სტრატეგიული ამოცანების (რომელიც საერთო მთელი სკოლისთვის) მისაღწევად, გამოიკვეთება შემდგომი სასწავლო წლის აქტივობების რაკურსი. რომლის შემდეგაც ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახდენს სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო შეფასებას და ქმნის ანგარიშს.

7. წინა წლის გეგმის ანგარიშის ასევე გარემოში არსებული საკანონმდებლო, ტექნოლოგიური თუ კონცეპტუალური ცვლილებების, სკოლის ორგანიზაციული შედეგების (კადრების დენადობა, ზოგადი შეფასება სკოლის როგორც ინსტიტუციის), თანამშრომელთა თუ სასკოლო საზოგადოების ინიციატივების გაანალიზებით. პასუხი გაეცემა საკვანძო შეკითხვებს: სტრატეგიული განვითარების მიზნების და ამოცანების მისაღწევად ახალ სასწავლო წელს რა აქტივობები უნდა დაგეგმოს და განახორციელოს სკოლამ? რამდენად ზუსტად უპასუხებს აქტივობები სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს? როგორ უზრუნველვყოთ დაგეგმილი აქტივობების წინა წელთან შედარებით მეტად ეფექტიანად განხორციელება? გაგრძელდება სარგებელი, რომელიც აქტივობის განხორციელებას მოჰყვება?
8. ამ პროცესების გავლის შედეგად იქმება ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელის შექმნაზე მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ივლისის თვეში. სამოქმედო გეგმის პროექტი, უკუკავშირის და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების/დამატებების შეტანის მიზნით, გაუზიარდება სასკოლო საზოგადოებას - სამუშაო შეხვედრებზე, სკოლის მესენჯერის ჩათებში, რომლის შემდეგ საბოლოო ვარიანტი მტკიცდება დირექტორის მიერ.

მუხლი 13. დამხმარე პროცესები

1. სკოლის ყველა დამხმარე პროცესი იდენტიფიცირებული და ასახულია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტში (სამოქმედო გეგმა, სტ.ერთეულების/პერსონალის ფუქნციური აღმწერები და სამუშაო გეგმის დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დებულება და ა.შ).
2. სკოლის ყველა სტ.ერთეული, პერსონალი სასწავლო წლის დაწყებამდე აგვისტოს ბოლოს/სექტემბრის პირველ კვირას, წინა წლის საქმიანობის ანალიზის და შეფასების საფუძველზე, სკოლის სამოქმედო გეგმასა და საკუთარ ფუნქციურ აღმწერებზე ორიენტირებით ქმნის ერთწლიან სამუშაო გეგმას, რომელსაც აღწერს სპეციალურ ჩარჩო ფორმაში. სექტემბრის დასაწყისში ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან იმართება პერსონალის, სტ.ერთეულის სამუშაო შეხვედრა პოზიციების საბოლოო შეჯერების, სკოლის სამოქმედო გეგმასთან კორელაციის დადგენის მიზნით. აღნიშნული პროცესების გავლის შემდეგ თანამშრომელთა, სტ.ერთეულის სამუშაო გეგმა იღებს საბოლოო სახეს და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.
3. საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება სკოლის კულტურის განვითარებას. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა წარმოადგენს ერთიან გუნდს, რომელსაც აქვს მაღალი პასუხისმგებლობა და შემოქმედებითი თავისუფლება. სკოლას გამუდმებით იკვლევს საკუთარ საჭიროებებს და განსაზღვრავს განვითარების მიმართულებებს. რაც ასახულია სკოლის სამოქმედო გეგმასა და სასკოლო კურიკულუმში.
4. ჩვენი სკოლის ღირებულებები არის ის ძირითადი პრინციპები, რომელებზე დაფუძნებითაც ვმოქმედებთ. ღირებულებები ორგანიზაციული კულტურის საკვანძო ნაწილია, ამიტომ მასზე ფიქრისას გავითვალისწინეთ ის კონკრეტული მესიჯები რაც სკოლას აქვს თანამშრომლების, სასკოლო საზოგადოებისადმი და ავსახეთ ღირებულებებში. სკოლა თაობა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:
   - თანასწორობის დაცვა - რაც გულისხმობს სკოლის ყველა მოსწავლის, მასწავლებლის და თანამშრომლის განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფას.
   - გუნდური მუშაობა - რაც გულისხმობს სკოლისადმი ერთგულების და თანაშემოქმედებითობის განცდის გაძლიერებას და ხელშეწყობას.

- პროფესიონალიზმი - რაც გულისხმობს გაზიარებულ პასუხისმგებლობას სკოლის ეფექტიანობაზე, დასახული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიღწევასა და რეალიზებაზე.
- ღიაობა - რაც გულისხმობს გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. ასევე მონაწილეობას, რომელიც ქმნის პროცესების გაუმჯობესების საფუძველს და ანგარიშვალდებულებას, რომელიც სკოლას და სასკოლო საზოგადოებას აქვთ ერთმანეთის მიმართ და შედეგებთან მიმართებით.

5. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ეს მნიშვნელოვანია სკოლისადმი „ჩვენ'' განცდის ჩამოყალიბებისთვის ,მიკუთვნებულობის გაღვივებისთვის და სასკოლო კულტურის განვითარების ხელშეწყობისთვის.
6. ზემოაღნიშნული ქმნის პოზიტიურ გარემოს, სადაც სასკოლო საზოგადოების წევრების (სკოლის დირექცია, მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) ურთიერთობა ემყარება ზრუნვასა და მხარდაჭერას, რაც საბოლოოდ დადებითად მოქმედებს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.
7. პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმის განვითარების, მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფილია <u>სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა</u> (იხ.დანართი №10 მასწავლებელთა თანამშრომლობის პლატფორმის დებულება. დანართი №11 ადამიანური რესურსები მართვის პოლიტიკა).
8. მასწავლებლის პროფესიულ დახელოვნებასთან დაკავშირებული აქტივობები მჭიდრო კავშირშია სკოლის მისია/მიზნებთან, სკოლაში აღიარებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პარადიგმასთან. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროცესი ორიენტირებულია მხარდაჭერაზე, ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობაზე, ფორმალური ვალდებულებების შემცირებაზე (ნაცვლად კონკურენციისა და დასჯა-წახალისებისა, ადმინისტრაციული ვალდებულებების ზრდისა).
9. მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნებისთვის მიზნობრივი აქტივობების დაგეგმვისთვის, მასწავლებელთა წარმატებული პრაქტიკის თუ გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი ხორციელდება მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალ წყაროზე და რესურსზე დაყრდნობით. მათ შორის მასწავლებელთა გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრებზე (საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლების გაერთიანებული შეხვედრა, ასევე მთლიანად მასწავლებელთა კორპუსის გაერთიანებული შეხვედრა), სადაც განიხილება კონკრეტული მაგალითები /ხდება მოსწავლეთა ჩართულობის და ცნებების შინაარსის გააზრებაში პროგრესის ანალიზი. შემოქმედებითი დავალებების პირობების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების მეთოდების/სტრატეგიების ეფექტურობის და ვალიდურობის ანალიზი.
10. სკოლაში დანერგილი სამუშაო შეხვედრების სტრუქტურა/ფორმატი და შეთავაზებული ინსტრუმენტები (მაგ: შემოქმედებითი დავალების შექმნა) ორიენტირებულია იმაზე, რომ შექმნას დიალოგის პლატფორმა, სადაც <u>მასწავლებელთა რეფლექსიის შედეგად დანახული მიგნებების, გამოცდილებების ერთმანეთზე გაზიარებით, განისაზღვრება პროფესიული დახელოვნების წარმატების წინაპირობა,</u> რომელიც განსახორციელებელი აქტივობების სახით მოინიშნება და აისახება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმასა თუ სხვა დოკუმენტებში.
11. მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნების ხელშეწყობის ერთ-ერთი მექანიზმია ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ ელექტრონული ჟურნალი schoolbook-ის პლატფორმაზე მასწავლებლის, კლასის პროფილის ანალიზი. სადაც ასახულია დავალებები, რესურსები, შეფასების ინსტრუმენტები და კრიტერიუმები, მონიშნულია პროცესზე დათმობილი დრო. მასწავლებლის კლასის პროფილის

შესწავლის შემდეგ, საჭიროებისამებრ ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ხვდება მასწავლებლებს ინდივიდუალურად <u>აქტიური თანამშრომლობის და დისკუსიის</u> ფორმატში <u>მასწავლებლების მხარდაჭერის</u> <u>მიზნით</u> ხორციელდება რეკომენდაციების მიცემა სასწავლო პროცესის, დავალებების, რესურსების, მეთოდების, შეფასების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში ურთიერთგამოცდილების გაზიარების მიზნით მასწვლებლები ესწრებიან/მონაწილეობენ ერთმანეთის საგაკვეთილო პროცესში. (ურთიერთმონაწილეობას ხელს იწყობს ის, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება ერთობლივად გუნდების შეხვედრებზე, შესაბამისად მასწავლებელთა კორპუსმა იცის რაკურსი რომელზე ორიენტირებითაც მიემართება ამა თუ იმ მასწავლებლის საგაკვეთილო პროცესი.).

12. ნაცვლად ფორმალურ-ფუნქციური დანაწილებისა სკოლაში დანერგილი მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნების კონცეფცია ხელს უწყობს სკოლაში ტრანფორმაციული ლიდერების წარმოქმნას. ესენი არიან მასწავლებლები, რომლებიც სკოლებში „სიტუაციურ ლიდერებად“ მოგვევლინებიან, გაუძღვებიან პროცესებს გამომდინარე იქედან, რომ სხვაზე მეტად აუღეს ალღო სასკოლო კურიკულუმის განვითარების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში გამოკვეთილი საერთო ამოცანების რეალიზების პროცესს.
13. ლიდერობა გამოიხატება - კურიკულუმის ეფექტურად განხორციელებაში, სასკოლო კლუბების განვითარების ხელშეწყობაში, კოლეგების მხარდაჭერაში. ყველაფერი ის რაც ხელს შეუწყობს საერთო ამოცანების მიღწევას. <u>*ლიდერობა დაკავშირებულია არა სტატუსთან (ლიდერების პოზიცია სკოლაში ოფიციალურად არ არის მარკირებული), არამედ კოლეგების დახმარებასა და მხარდაჭერასთან. ესე იგი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლეგა-მასწავლებლებთან თანამშრომლობას (peer-coaching). სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს ლიდერობას.*</u>

მუხლი 14. ძირითადი პროცესები - კურიკულუმის განვითარება

1. კურიკულუმის განვითარება სკოლის პირველადი პროცესია, რამდენადაც ის მიემართება იმ მთავარ საქმიანობას რისთვისაც სკოლა არსებობს.
2. კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია, რომელიც შემდეგი ეტაპებისაგან შედგება: კურიკულუმის შემუშავება, კურიკულუმის დანერგვა/განხორციელება, კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება, კურიკულუმის გადასინჯვა/რევიზია (იხ. დანართი №12 კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია).
3. შემუშავებული კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის, ანალიზის და შეფასების შედეგად ყოველწლიურად იქმნება გადამუშავებული, განახლებული სასკოლო კურიკულუმი.
4. სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია მასში მთლიანი სასკოლო საზოგადოება იღებს მონაწილეობას, კურიკულუმის განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს მნიშვნელოვანი და გაზომვადი ფუნქცია რაც უზრუნველყოფს ჩართულობის/მონაწილეობის თანმიმდევრულობასა და კომპლექსურობას, ნაცვლად სპონტანურობისა და ფრაგმენტულობისა (იხ. დანართი №12 კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია).

მუხლი 14[1]. ძირითადი პროცესები - კურიკულუმის შემუშავება

1. სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური და რეალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ასევე მოსწავლეთა საჭიროებაზე დაფუძნებული კურიკულუმის განსავითარებლად, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება (იხ. დანართი №12 კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია), კერძოდ:
   - ❖ კურიკულუმის შემუშავების პროცესის დაწყება - სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის მონიტორინგის, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე;
   - ❖ კურიკულუმის პროექტის შემუშავება - ამ დროს ხდება სასკოლო საზოგადოების მიერ პოზიციის დაფიქსირება, გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრებზე მასწვალებლების ხედვის და საგნობრივი კურიკულუმის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი. სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების (მშობლების, მოსწავლეების) მიერ საკითხთა სპექტრზე საკუთარი მიგნებების, ხედვის, იდეების, დაფიქსირება. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახდენს იდეების, გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის თავმოყრას და ანალიზზე დაყრდნობით შეიმუშავებს სასკოლო კურიკულუმის პროექტს.
   - ❖ კურიკულუმის შემუშავებული პროექტის გაზიარება - ამ დროს ხდება შემუშავებული პროექტის სასკოლო საზოგადოებაზე გაზიარება (გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრებზე, სკოლის ვებ-გვერდზე, ელექტრონული ფოსტით; სოციალური მედიით). სასკოლო საზოგდოება ეცნობა კურიკულუმის პროექტს. უკუკავშირის შემთხვევაში შესაძლებელია კურიკულუმის პროექტში ცვლილების შეტანა.
   - ❖ კურიკულუმის დამტკიცება- მასწავლებელთა კორპუსის გაერთიანებული სამუშაო შეხვედრა დირექტორის ხელმძღვანელობით, კურიკულუმის საბოლოო განხილვა, დამტკიცება. საჯაროობის უზრუნველყოფა (განთავსება სკოლის ვებ-გვერდზე, სოციალური ქსელების ჩათებში დაგზავნა, საჯარო ღონისძიებების დროს-მშობელთა კრება და სხვ. გაზიარება).

მუხლი 14[2]. ძირითადი პროცესები - კურიკულუმის დანერგვა

1. კურიკულუმის დანერგვა გულისხმობს შემუშავების/დაგეგმვის ფაზაში დამტკიცებული გეგმის განხორციელებას და იმ ეფექტების აღწერას, რომელიც დასახულმა გეგმამ სასკოლო საზოგადოებაზე მოახდინა;
2. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლე სუბიექტის პარადიგმაში და შესაბამისად ხორციელდება სასწავლო პროცესში შუალედური მიზნების მიღწევით- შემოქმედებით დავალებაზე მუშაობით, რომლის შეფასების კრიტერიუმების მიემართება სამიზნე ცნებებს.
3. კურიკულუმის განხორციელების პროცესში, რომელიც რამდენიმე გაკვეთილი გრძელდება, მასწავლებელი აკვირდება და აგროვებს მონაცემებს - შემოქმედებითი დავალებების პირობის, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების, მეთოდების - ვალიდურობის და ეფექტიანობის შესახებ, რომელებიც წარმატებული გამოდგა მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირების, სამიზნე ცნებების გააზრების და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვის პროცესში.

4. კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებელი აგროვებს მონაცემებს მოსწავლეთა პროგრესზე სამიზნე ცნებების გააზრების მიმართულებით და მოსწავლეთა ჩართულობაზე სასწავლო პროცესში.
5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის მონაცემებს მასწავლებელი აღწერს/აანალიზებს წინასწარ შეთანხმებულ ჩარჩო ფორმებში.
6. სემესტრის განმავლობაში იმართება მინიმუმ სამი შეხვედრა ხარისხის ჯგუფის ჩართულობით, სადაც მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა ნაშრომების საფუძველზე კონკრეტული მაგალითებით გაზიარდება მონაცემები მოსწავლეთა მიღწევებზე. ასევე გაზიარდება ხელშესახები მიგნებები განხორციელებული - შემოქმედებითი დავალებების, **შეფასების კრიტერიუმების,** სასწავლო შინაარსის, რესურსების, მეთოდების - ვალიდურობის და ეფექტიანობის შესახებ.
7. მასწავლებელი სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციას უზიარებს კოლეგა მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება საგაკვეთილო პროცესის დროს გაკეთებულ განმავითარებელ კომენტარზე, რომელიც ეხმარება მოსწავლეს პროცესის სწორად დაგეგმვასა და გაანალიზებაში.

7.1 სასწავლო პროცესის შესახებ მშობლებზე ინფორმაციის გაზიარების მიზნით, მასწავლებელი მშობელთან ინდივიდუალურად განიხილავს მოსწავლეების პროგრესს (ონლიან ან მშობლის სკოლაში ვიზიტით). მთლიან მშობელთა კორპუსს კი დაინტერესების შემთხვევაში პერმანენტულად და სასწავლო წლის მანძილზე მინიმუმ სამჯერ აწვდის ინფორმაციას განხორცილების პროცესში გამოყენებული შემოქმედებითი დავალებების პირობის, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების, მეთოდების შესახებ.

8. სკოლაში კურიკულუმის დანერგვის პროცესი სამ დონეზე აღიწერება (მოსწავლის, მასწავლებლის, სკოლის), რომლის საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება.

მუხლი 14[3]. ძირითადი პროცესები - კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

1. მონიტორინგი არის პროცესი, რომლის ფარგლებში მოწმდება კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების შესრულება, ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების განსაზღვრა. მონიტორინგი ადგენს მიმდინარეობს თუ არა პროცესი დაგეგმილის შესაბამისად.
2. სასწავლო პროცესის ანალიზისა და შეფასებისთვის, წარმატებული გამოცდილების თუ გამოწვევების შესახებ მონაცემების მოგროვება ხორციელდება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალ წყაროზე და რესურსზე დაყრდნობით. კერძოდ: მასწავლებლებთან ინდივიდუალურ სამუშაო შეხვედრებზე, საგნობრივი გუნდების სამუშაო შეხვედრების დროს, მასწავლებელთა კორპუსის გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრებზე, კონკრეტული მაგალითების განხილვით, ასევე ელექტრონული ჟურნალის პლატფორმაზე მასწავლებლის, კლასის, მოსწავლის პროფილის შესწავლით.
3. მონიტორინგს მოსდევს შეფასება. შეფასება ნიშნავს მონიტორნგის შედეგად შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. ესე იგი შინაარსობრივ ანალიზს, შესრულებული საქმიანობის ხარისხის კონტროლს.
4. სკოლაში გაანალიზდება და შეფასდება მასწავლებლის მიერ საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილი და ელექტრონული ჟურნალის პლატფორმაზე ასახული - შემოქმედებითი დავალებების პირობების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების

ეფექტურობა და ვალიდურობა; მეთოდების/სტრატეგიების ეფექტურობა და ვალიდურობა. მოსწავლეთა ნამუშევრები; მოსწავლეების, მშობლების და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების გამოკითხვის შედეგები. დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო პროექტების ეფექტურობა და შედეგები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ვალიდურობის და ეფექტურობის შედეგები.

5. კურიკულუმის განხორციელების პროცესის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საჭიროების ანალიზის შესაბამისად, მასწავლებელთან იმართება სამუშაო შეხვედრა. სამუშო შეხვედრაზე აქტიური თანამშრომლობის და დისკუსიის ფორმატში მასწავლებლების მხარდაჭერის მიზნით ხორციელდება რეკომენდაციების მიცემა შეფასების ინსტრუმენტის, პროცესის თუ მტკიცებულების შესახებ. ასევე სასწავლო რესურსების, შინაარსის, მეთოდების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია საგაკვეთილო პროცესზე დასწრება.
6. საგნობრივი გუნდების სამუშაო შეხვედრების დროს, მასწავლებელთა კორპუსის გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრებზე ხორციელდება განხორციელებული კურიკულუმის შინაარსობრივი ანალიზის - მასწავლებლები ხარისხის ჯგუფის ჩართულობით წარადგენდნენ განვლილ სასწავლო წელს განხორციელებული საგნობრივი კურიკულუმის რეფლექსიას. შეხვედრაზე დგინდება განხორციელებული სასწავლო პროცესი რამდენად კარგად შესრულდა და აკმაყოფილებს თუ არა კრიტერიუმებს. გაანალიზდება შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობები.

მუხლი 14[4]. ძირითადი პროცესები - კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

1. საგნობრივი განვითარების გუნდების და მასწავლებელთა ფორუმის სამუშაო შეხვედრაზე პასუხი გაეცემა საკვანძო შეკითხვებს: მიზნების და ამოცანების მისაღწევად როგორი კურიკულუმი უნდა დაგეგმოს და განახორციელოს სკოლამ? რამდენად ზუსტად უპასუხებს შემუშავებული კურიკულუმი მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს? როგორ უზრუნველვყოთ დაგეგმილი კურიკულუმის წინა წელთან შედარებით მეტად ეფექტიანად განხორციელება? გაგრძელდება სარგებელი, რომელიც კურიკულუმის განხორციელებას მოჰყვება? მასწავლებელთა მიერ გამოცდილების გაზიარებით, განისაზღვრება წარმატებების წინაპირობა, სამუშაო შეხვედრებზე რეფლექსიის შედეგად დანახული მიგნებები საფუძვლად უყრის საგნობრივი კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიას და იქმენება ახალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის პროექტი.

მუხლი 15. დამრიგებელი

1. სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. დამრიგებლი ეხმარება მოსწავლეებს კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაში. დამრიგებელი ხელს უწყობს კლასში ისეთი გარემო პირობების შექმნას, რომელშიც მოსწავლე მოახდენს თვითგანვითარებას და თვითრეალიზებას საზოგადოებაში წარმატებული სოციალიზაციისათვის.
2. სკოლაში დამრიგებლის საქმიანობის მთავარი ასპექტია მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, მზაობის შესახებ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზზე დაფუძნებით რელევანტური აქტივობების/ინტერვენციების განხორციელება.
3. დაწყებით საფეხურზე სადამრიგებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას ხელს უწყობს დამატებითი საგნების „ზღაპართერაპია'' და

„სიბრძენე მინიატურებში'' სასწავლო კურსი, რომელსაც წარმართავენ კლასის დამრიგებელები.

4. დამრიგებლის საქმიანობა რეგულირდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული დამრიგებლის დებულებით.

მუხლი 16. მასწავლებელთა თანამშრომლობის პლატფორმა

1. მასწავლებელთა თანამშრომლობის პლატფორმა წარმოადგენს სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობით ორგანოს, რომლის საქმიანობა მოსწავლეთა და მასწავლებლების საუკეთესო ინტერესების, სასკოლო საზოგადოების მოლოდინების, სკოლის რესურსების და გამოწვევების გათვალისწინებით, ემსახურება სკოლის მისიის, ხედვის და სტრატეგიული მიზნების რეალიზებას, თანამონაწილეობისა და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სასკოლო ცხოვრების ორგანიზებას (იხ.დანართი №10 მასწავლებელთა თანამშრომლობის პლატფორმის დებულება).
2. მასწავლებელთა თანამშრომლობის პლატფორმის მიზანია ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას (ცნებების გააზრება/ფუნქციური უნარების გააქტიურება) და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ზრდას.
3. მასწავლებელთა თანამშრომლობის პლატფორმის სტრუქტურის მოდელი, დაფუძნებულია გუნდურ პასუხისმგებლობასა და თანამშრომლობით მართვაზე. ასეთი სტრუქტურა ხელს შეუწყობს მასწავლებელთა ჩართულობის ზრდას, პროფესიულ განვითარებას და ტრანსფორმაციული ლიდერების გამოკვეთას. სტრუქტურის მოდელი უზრუნველყოფს საერთო ამოცანების გუნდურად, ურთიერთმხარდაჭერით შესრულებას, რომელთა ზუსტი რაკურსი გამოკვეთილია სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმასა და სასკოლო კურიკულუმში მონიშნული აქტივობებით. მასწავლებელთა თანამშრომლობის პლატფორმის სტრუქტურული ერთეულია:
   - <u>მასწავლებელთა ფორუმი (პედსაბჭო)</u> - რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა მასწავლებელი. მასწავლებელთა ფორუმს არ ჰყავს ხელმძღვანელი პირი (აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს თანამონაწილეობის მექანიზმის შექმნას, რომელიც ეფუძნება თანასწორობას, ღიაობას, გუნდურობასა და საერთო გადაწყვეტილების პროცესს). ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.
   - <u>საგნობრივი განვითარების გუნდები (კათედრა)</u> - სკოლაში ფუნქციონირებს: ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი განვითარების გუნდი, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი განვითარების გუნდი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი განვითარების გუნდი, უცხოური ენების საგნობრივი განვითარების გუნდი; მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი განვითარების გუნდი, სპორტისა და ესთეტიკის საგნობრივი განვითარების გუნდი. რომლის წევრები არიან შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლები.საგნობრივი განვითარების გუნდი გადაწყვეტილებას იღებს ერთობლივად <u>(არ ჰყავს ხელმძღვანელი პირი).</u> ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება. სამუშაო შეხვედრებზე გადაწყვეტილება მიიღება <u>საერთო კონსესუსით</u>.
4. მასწავლებელთა თანამშრომლობის პლატფორმა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 16[1]. მასწავლებელთა ფორუმი

1. მასწავლებელთა ფორუმი არის ერთი მხრივ მიზნების მისაღწევად სკოლის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეული. მეორე მხრივ მასწავლებელთა ფორუმის სამუშაო შეხვედრები არის ფუნქციის შესასრულებლად პროცესის ორგანიზების ეფექტური ფორმა/საშუალება სადაც ორგანიზდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მასწავლებლების ფართე ჩართულობის შესაძლებლობა.
2. მასწავლებელთა ფორუმი იკრიბება კალენდარული წლის განმავლობაში ხუთჯერ (სექტემბერი, ნოემბერი, დეკემბერი, მარტი, ივნისი).
3. მასწავლებელთა ფორუმის ფუნქციები:
   - საერთო ამოცანების გადასაჭრელად შემუშავებული სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი წარედგინება მასწავლებელთა ფორუმს, რომელიც გაეცნობა პროექტს, ამატებს ინიციატივას (ასაბუთებს საჭიროებას) ან ახდენს არსებული აქტივობის მოდიფიკაციას (დასაბუთებული არგუმენტაციით). რომლის შემდეგ სამოქმედო გეგმის პროექტის საბოლოო ვარიანტი მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. დირექტორი უფლებამოსილია შემუშავებული სამოქმედო გეგმის პროექტი უკან დააბრუნოს შემდგომი გადამუშავებისათვის. გადამუშავებული პროექტის წარდგენის ვადა განისაზღვრება 5 სამუშაო დღით.
   - მასწავლებელთა ფორუმს წარედგინება/გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრაზე დისკუსიის ფორმატში განიხილება და საბოლოო სახით ფორმირდება საერთო ამოცანების გადასაჭრელად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის პროექტი. რომელიც შემდეგ მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. დირექტორი უფლებამოსილია შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის პროექტი უკან დააბრუნოს შემდგომი გადამუშავებისათვის. გადამუშავებული პროექტის წარდგენის ვადა განისაზღვრება 5 სამუშაო დღით.
   - მასწავლებელთა ფორუმის გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრაზე ხორციელდება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საერთო ამოცანების გადასაჭრელად განხორციელებული აქტივობების განხილვა/წარდგენა/ანალიზი. რომლის შემდეგაც ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახდენს სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო შეფასებას და ქმნის ანგარიშს.
   - მასწავლებელთა ფორუმის გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრაზე ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის განხორციელების განხილვა/ანალიზი, რომლის შემდეგაც ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახდენს სასკოლო კურიკულუმის განხორციელების საბოლოო შეფასებას და ქმნის ანგარიშს.
   - მასწავლებელთა ფორუმის სამუშაო შეხვედრებზე ხორციელდება სკოლის პროცესებზე ინიციატივების, იდეების, გეგმა პროექტების წარდგენა, რომელიც სკოლის მისია/მიზნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, საჭიროებისამებრ დაინერგება და განხორციელდება (პროექტის, აქტივობის, ღონისძიების, დოკუმენტის, მექანიზმის და ა.შ. სახით).

მუხლი 16[2]. საგნობრივი განვითარების გუნდები

1. საგნობრივი განვითარების გუნდები არის სკოლის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეული რომლის მიზანია საგნობრივი ჯგუფების სწავლების გაფართოება, ცოდნის გაღრმავების/ცნებების შინაარსის გააზრების ხელშწყობა. ხოლო საგნობრივი განვითარების გუნდების სამუშაო შეხვედრები არის ფუნქციის შესასრულებლად პროცესის ორგანიზების ეფექტური ფორმა/საშუალება.
2. საგნობრივი განვითარების გუნდები იკრიბება კალენდარული წლის განმავლობაში ხუთჯერ (სექტემბერი, ნოემბერი, დეკემბერი, მარტი, ივნისი).
3. საგნობრივი განვითარების გუნდების ფუნქციები:

- ❖ გუნდის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებით საერთო ამოცანების გადასაჭრელად ერთობლივად იგეგმება სასწავლო პროცესი / იქმნება საგნობრივი კურიკულუმები კერძოდ - განისზღვრება შემოქმედებითი დავალების პირობები, შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო შინაარსები, სასწავლო რესურსები. განისაზღვრება სასწავლო მეთოდების და სტრატეგიების რაკურსი;
- ❖ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან აქტიური თანამშრომლობით, გუნდის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებით, საერთო ამოცანების გადასაჭრელად ერთობლივად იგეგემება კლუბის ფორმატში მოსწავლეებისთვის შესათავაზებელი კონტექსტები და აქტივობები;
- ❖ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან აქტიური თანამშრომლობით, გუნდის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებით, საერთო ამოცანების გადასაჭრელად ერთობლივად განისაზღვრება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მოსანიშნი აქტივობები, რომლებიც შეეხება საგნობრივი ჯგუფის სწავლების გაფართოებას.
- ❖ საგნობრივი განვითარების გუნდების შეხვედრებზე გაანალიზდება საერთო ამოცანების გადასაჭრელად განხორციელებული სასწავლო პროცესი/კურიკულუმი კერძოდ - გაზიარდება მონაცემები მოსწავლეთა მიღწევებზე, ასევე გაზიარდება ხელშესახები მიგნებები განხორციელებული - შემოქმედებითი დავალებების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების, მეთოდების - ეფექტიანობის შესახებ. რომლის საფუძველზეც დაიგეგმება გადამუშავებული კურიკულუმები.
- ❖ საგნობრივი განვითარების გუნდების შეხვედრებზე გაანალიზდება საერთო ამოცანების გადასაჭრელად კლუბების ფორმატში განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობა. რომლის შემდეგაც მოინიშნება ახალი აქტივობები.
- ❖ საგნობრივი განვითარების გუნდების შეხვედრებზე გაანალიზდება საერთო ამოცანების გადასაჭრელად სამოქმედო გეგმით განხორციელებული იმ აქტივობების ეფექტიანობა, რომელიც შეეხებოდა საგნობრივი ჯგუფის სწავლების გაფართოებას. აღნიშნულის შემდეგ მოინიშნება ახალი აქტივობები.

მუხლი 17. მოსწავლეთა განვითარების პლატფორმა

1. მოსწავლეთა განვითარების პლატფორმა წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობით ორგანოს, რომლის საქმიანობა სკოლის მისიასა და ხედვაზე დაფუძნებით, მოსწავლეთა მზაობის, საჭიროებების, ინტერესების, სასკოლო საზოგადოების/თემის მოლოდინების, სკოლის რესურსების და გამოწვევების გათვალისწინებით, ემსახურება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას, თანამონაწილეობისა და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სასკოლო ცხოვრების ორგანიზებას (იხ.დანართი №13 მოსწავლეთა განვითარების პლატფორმის დებულება).
2. მოსწავლეთა განვითარების პლატფორმის მიზანია ხელი შეუწყოს თითოეული მოსწავლის დამოუკიდებელ, აქტიურ და პასუხისმგებლიან ინდივიდად ჩამოყალიბებას, რომელიც იზრუნებს როგორც საკუთარი პიროვნების ასევე თემის/საზოგადოების განვითარებაზე.
3. მოსწავლეთა განვითარების პლატფორმის სტრუქტურის მოდელი, დაფუძნებულია გუნდურ პასუხისმგებლობასა და თანამშრომლობით მართვაზე. ასეთი სტრუქტურა მეტად ეფექტურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ავტონომიურობას. მოსწავლეთა განვითარების პლატფორმის სტრუქტურა მოიცავს - მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭოს, მოსწავლეთა ფორუმს და სასკოლო კლუბებს.
4. მოსწავლეთა განვითარების პლატფორმა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 17[1]. მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭო

1. მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის სკოლის მე8- მე12 კლასში მყოფი 6 მოსწავლე. მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ერთობლივად (არ ჰყავს ხელმძღვანელი პირი). ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება. გადაწყვეტილება მიიღება კონსესუსით. აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს თანამონაწილეობის მექანიზმის შექმნას, რომელიც ეფუძნება თანასწორობას, ღიაობას, გუნდურობასა და საერთო გადაწყვეტილების პროცესს. მოსწავლეებს უვითარდებათ საკუთარი აზრის დაფიქსირების, მოლაპარაკების, ერთმანეთის მოსმენის და პასუხისმგებლობის უნარები. საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციებია:
   - პროექტების, სკოლის შიდა და გარე ღონისძიებების ორგანიზება და მხარდაჭერა;
   - სასკოლო საზოგადოებასთან (მასწავლებლები, მშობლები, სკოლის სტრუქტურული ერთეულები) აქტიური თანამშრომლობა, მოსწავლეთა განვითარების ხელშესაწყობად, ინტერესების, საჭიროებების განხორციელების და უფლებების დაცვის მიზნით;
   - მოსწავლეთა სასწავლო პროცესისადმი დამოკიდებულებების ანალიზი;
   - მასწავლებელთა მხარდაჭერა ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელებასა და კურიკულუმის განვითარებაში;
   - დამრიგებლებთან, ფსიქოლოგთან აქტიური თანამშრომლობით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მენტორობა (ზედამხედველობა);
   - ღიაობის და ინკლუზიურობის დაცვით მოსწვლეთა ინტერესების რეალიზების ხელშეწყობა;
   - რეკომენდაციების და წინადადებების წარდგენა სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების განსავითარებლად;
   - სასკოლო კლუბების საქმიანობის ხელშეწყობა და მეთვალყურეობა სასკოლო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობით.

მუხლი 17[2]. მოსწავლეთა ფორუმი

1. მოსწავლეთა ფორუმის შემადგენლობაში შედის სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლე.
2. მოსწავლეთა ფორუმი იკრიბება წელიწადში სამჯერ (სექტემბერი, დეკემბერი, ივნისი) გაერთიანებული შეხვედრის ფორმატში.
3. მოსწავლეთა ფორუმს წარუდგენს მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭო გეგმას სექტემბერში და მოსწავლეთა განვითარების პლატფორმის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესრულების ანგარიშს/პრეზენტაციას დეკემბერსა და ივნისში. მოსწავლეთა ფორუმის შეკრება არის საშუალება მოსწავლეებმა წარადგინონ იდეები (უკვე ჩამოყალიბებული გეგმა პროექტები) - სასკოლო კლუბების შექმნის, სხვადასხვა აქტივობის, ღონისძიების, პროექტის შესახებ. აღნიშნულ იდეებს(გეგმა პროექტებს) ინიშნავს საკოორდინაციო საბჭოს წევრი შემდგომი განვითარების/რეალიზების მიზნით. მოსწავლეთა ფორუმის ფუნქციაა აირჩიოს მე8 - მე12 კლასში გადასულ მოსწავლეთაგან, მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭოს 3 წევრი.

მუხლი 17[3]. სასკოლო კლუბები

1. სასკოლო კლუბების მიზანია უზრუნველყოს საგნობრივი ჯგუფების სწავლების გაფართოება/მოსწავლეებში ცნებების გააზრება საინტერესო შინაარსებით, ინტერაქტიური პრაქტიკული და კრეატიული აქტივობებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლე სუბიექტის პარადიგმის რეალიზებას,

ბავშვების სოციალიზაციას, დამოუკიდებლობას, მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ასევე სამოქალაქო, კოლაბორაციული და კვლევითი უნარების გამომუშავებას.

2. კლუბებს აქვთ დირექტორის მიერ დამტკიცებული დებულება, რომელშიც აღწერილია - კლუბის მიზანი, ამოცანები, პრინციპები, სტრუქტურა და სამუშაო ორგანიზების საკითხები (იხ.დანართი №14 სასკოლო კლუბების დებულება). კლუბები მოინიშნებიან სკოლის სამოქმედო გეგმასა თუ პროექტებში ამოცანების შესაბამისი აქტივობის პასუხისმგებელ ერთეულად.
3. კლუბების აქტივობებში მოსწავლეები სურვილი და ინტერესის მიხედვით მონაწილეობენ. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები:
   - სასკოლო კლუბი ''Res Publica", რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების სტრუქტურის, იდეების იდეოლოგიების, ღირებულებების, დემოკრატიის პრინციპების, ადამიანის უფლებების, სოციალური კეთილდღეობის და პასუხისმგებლობის, ისტორიული ეპოქის, მოვლენების და პროცესების, ძალაუფლების არსის ცნებების შინაარსის გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
   - სასკოლო კლუბი „პითაგორას კოდი'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სხვადასხვა ოპერაციების თვისებების, ურთიერთმიმართების, კანონზომიერების და ლოგიკური კავშირების დადგენას, ალგორითმული აზროვნების განვითარებას, ციფრულ და რეალურ სამყაროს შორის კავშირებისა და განსხვავებების წარმოჩენა გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
   - სასკოლო კლუბი ''ოდისეა", რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მხატვრული ლიტერატურის ჟანრების, მიმდინარეობის, კომპოზიციის/შინაარსობრივი მხარის, ენობრივი საშუალებების/მხატვრული ხერხების, ბიოგრაფიული, სოციოკულტურული კონტექსტების გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
   - სასკოლო კლუბი ''The Globe Society'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ინგლისურ ენაში - მოსმენის, სხვადასხვა ჟანრის და შინაარსის მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულებით შექმნილი ტექსტის კითხვის, მეტყველების და წერის განვითარებას. ლექსიკის და გრამატიკის ფუნქციურად და მართებულად გამოყენებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
   - სასკოლო კლუბი კლუბი ''ორფეოსი'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სახვითი ხელოვნების ენის, საშუალებების (ხაზი, ფერი, ფორმა, შუქ-ჩრდილი), სახვითი ტექნიკის (ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა..), სახვითი ჟანრის (ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი..) გააზრებას. ასევე მუსიკის შინაარსის, მუსიკის გამომსახველობითი ხერხების და საშუალებების (ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია...) გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
   - სასკოლო კლუბი კლუბი ''Gaia's Lab'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ბიომრავალფეროვნების, ცოცხალი სისტემების და ნივთიერებების სტრუქტურის და ფუნქციის, სასიცოცხლო თვისებების, ჯანმრთელობისა და დაავადების, ფიზიკური და ქიმიური პროცესების, ენერგიის, ძალის და მატერიის, მდგრადი წარმოების და მოხმარების არსის გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.

4. სკოლაში ახალი კლუბის შექმნა ეფუძნება ორგანიზებულ, გამჭვირვალე მოსწავლეებზე ორიენტირებულ პროცესს. კლუბის იდეას უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო ღირებულება (უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეებში ცოდნის გაღრმავებას/ფუნქციური უნარების გააქტიურების ხელშეწყობას), უნდა იყოს შესაბამისობაში სკოლის მისია/მიზნებთან.

მუხლი 18. დამატებითი და არჩევითი საგნები

1. სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფებში სამიზნე ცნებების მოსწავლეთათვის საინტერესო, მრავალფეროვან კონტექსტებში გააზრების და ფუნქციური უნარების გააქტიურების მიზნით, სკოლაში ისწავლება დამატებითი და არჩევითი საგნები.
2. დამატებით და არჩევით საგნებზე დასწრება სავალდებულოა მოსწავლისათვის.
3. დამატებით და არჩევით საგნებში სამიზნე ცნებების გააზრება და ფუქნციური უნარების გააქტიურება, რეალიზდება თემის ფარგლებში, რომელშიც გამოიყოფა შუალედური მიზანი/მიზნები, ის შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:
   ა)მოსწავლისთვის საინტერესო შემოქმედებითი დავალების პირობა, რომელსაც ნაცნობი კონტექსტები შემოაქვს და რომლითაც მოსწავლე სასწავლო პროცესს დღეს არსებულ ცხოვრებას უკავშირებს. პირობა მოიცავს პროდუქტს, რომელსაც ქმნის მოსწავლე და რომლის საშუალებითაც ადასტურებს საკუთარ ცოდნას;
   ბ)შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მიემართება ცნებების არსებით ნიშან თვისებებს და რომლითაც მკაფიოდ არის გააზრებული რაკურსი, რომელზე ორიენტირებითაც ხდება ახალ მასალაში (საკითხი) ცნების გააზრება გათავისება.
   გ) მასალა, რესურსები (საკითხი/საკითხთა სპექტრი), რომელიც შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისას სასწავლო პროცესში მუშავდება.
4. სკოლაში ისწავლება შემდეგი დამატებითი და არჩევითი საგნები:
   - I-IV კლასები დამატებითი საგანი „ზღაპართერაპია“ და V-VI კლასები დამატებითი საგანი „სიბრძნე მინიატურებში'', რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს პიროვნების, საზოგადოების, ზრუნვის ცნებების შინაარსის გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
   - VII-X კლასები დამატებითი საგანი „მსოფლიო ლიტერატურა'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ტექსტის (შინაარსობრივი მხარე, ენობრივი მხარე, სტრუქტურა), კონტექსტის (სოციო-კულუტურული, ბიოგრაფიული) და მხატვრული ჟანრის (მოთხრობა, ნოველა, რომანი) ცნებების შინაარსის გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
   - VII-X კლასები დამატებითი საგანი „იდეები და ღირებულებები'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს პიროვნების (ადამიანის მოთხოვნილებები და საჭიროებები; მსოფლმხედველობა-რწმენა), საზოგადოების (რელიგია; იდეა/იდეოლოგია. საზოგადოებრივი ჯგუფები) და დემოკრატიის (ადამიანის უფლებები და თავისუფლებები; სამართლებრივი დოკუმენტები. დემოკრატიის პრინციპები) ცნებების შინაარსის გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
   - XI-XII კლასები არჩევითი საგანი “მსოფლიო ლიტერატურა'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ტექსტის (შინაარსობრივი მხარე, ენობრივი მხარე, სტრუქტურა), კონტექსტის (სოციო-კულუტურული, ბიოგრაფიული) და მხატვრული ჟანრის (მოთხრობა, ნოველა,

რომანი) ცნებების შინაარსის გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.

- XI-XII კლასები არჩევითი საგანი „იდეები და ღირებულებები'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს პიროვნების (ადამიანის მოთხოვნილებები და საჭიროებები; მსოფლმხედველობა-რწმენა), საზოგადოების (რელიგია; იდეა/იდეოლოგია. საზოგადოებრივი ჯგუფები) და დემოკრატიის (ადამიანის უფლებები და თავისუფლებები; სამართლებრივი დოკუმენტები. დემოკრატიის პრინციპები) ცნებების შინაარსის გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.

მუხლი 19. ინკლუზიური განათლება

1. სკოლაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით.
2. თუ სსსმ მოსწავლისთვის შეუძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი საგნის სწავლება, მოსწავლის ფუნქციური და აკადემიური ცოდნის მისაცემად გამოიყენება ალტერნატიული სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს და აღწერს საგნების სტანდარტს, სწავლების რეკომენდაციებს, მიღწევების, ფუნქციური უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებებს.
3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:
   ა) ფიზიკური შეზღუდვა;
   ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
   გ) სწავლის უნარის დარღვევა;
   დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
   ე) ენა-მეტყველების განვითარების დარღვევა და კომუნიკაციის სირთულეები;
   ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
   ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
   თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
   ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე. ასევე, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების, შეფასების ალტერნატიული მეთოდების გამოყენების, დამატებითი სპეციალისტის მომსახურების, სასწავლო პროცესისა და გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფის საჭიროება.

მუხლი 20. საგანმანათლებლო რესურსები

1. სკოლაში საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:
   ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;
   ბ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები;

გ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

2. მასწავლებელი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს გარდა სასწავლო პროცესში იყენებს ვალიდურ დამატებით სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსებს, რათა უზრუნველყოს მოსწავლეთა მეტად დაინტერესება და ჩართვა სასწავლო პროცესში.
3. სკოლა უზრუნველყოფს გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას.
4. დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ან თვალსაჩინოების სასწავლო პროცესში გამოყენება ემსახურება მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრების ხელშეწყობასა და ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობას. რესურსები/თვალსაჩინეობები არის ვალიდური, მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ (მათ შორის, ენის, ეროვნების, სქესის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების და სხვა ხასიათის) ელემენტებს.

მუხლი 21. მოსწავლეთა რაოდენობა კლასში

1. სკოლა თაობაში კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 18 მოსწავლით.
2. 2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგანში: ფიზიკური აღზრდა და სპორტი საფეხურის ფარგლებში შექმნილია კლას-კომპლექტები. კლასები დაკომპლექტებულია შემდეგი პრინციპით:
   - მე7ა და მე7ბ კლასები;
   - მე8ა და მე8ბ კლასები;
   - მე9ა და მე9ბ კლასები;
   - მე10ა და მე10ბ კლასები.

მუხლი 22. სასწავლო წლის კალენდარი



	სასწავლო დღეები	ზამთრის არდადეგები	გაზაფხულის არდადეგები	აღდგომა	სასწავლო კვირების რაოდენობა	
	დასვენების დღეები	30 დეკემბერი-14 იანვარი	8 მარტი - 14 მარტი	9 აპრილი - 14 აპრილი	I სემესტრი - 15	II სემესტრი-21 (I-18; XII-17)

სასწავლო წელი იყოფა 2 სემესტრად			
I სემესტრი		II სემესტრი	
დაწყება	**დასრულება**	**დაწყება**	**დასრულება**
15 სექტემბერი	29 დეკემბერი	15 იანვარი	15 ივნისი (II-XI კლასი)
			20 მაისი (XII კლასი)
			27 მაისი (I კლასი)

სასწავლო კვირა 5 დღიანია (ორშაბათი-პარასკევი)								
I კლასი			II- III კლასი			IV-XII კლასი		
გაკვეთილის ხანგძლივობა 35 წთ			გაკვეთილის ხანგძლივობა 40 წთ			გაკვეთილის ხანგძლივობა 45 წთ		
რიგითობა	დაწყება	დასრულება	რიგითობა	დაწყება	დასრულება	რიგითობა	დაწყება	დასრულება
I	09:30	10:05	I	09:30	10:10	I	09:30	10:15
II	10:20	10:55	II	10:20	11:00	II	10:20	11:05
III	11:15	11:50	III	11:15	11:55	III	11:15	12:00
IV	12:10	12:45	IV	12:10	12:50	IV	12:10	12:55
V	13:00	13:35	V	13:00	13:40	V	13:00	13:45
VI			VI	13:50	14:30	VI	13:50	14:35
VII			VII			VII	14:40	15:25

ოფიციალური დასვენების დღეები	
14 ოქტომბერი	სვეტიცხოვლობა
23 ნოემბერი	წმ. გიორგის ხსენების დღე
19 იანვარი	ნათლისღება
3 მარტი	დედის დღე
8 მარტი	ქალთა დღე
9 აპრილი	საქართველოს დამოუიდებლობის დღე
18 აპრილი - 21 აპრილი	აღდგომა

9 მაისი	ფაშიზმზე გამარჯვების დღე
12 მაისი	ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე
17 მაისი	ოჯახის სიწმინდის დღე
26 მაისი	საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

1. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ:
   ა) სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას;
   ბ) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები; გ) ობიექტური მიზეზების გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ.
2. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა შემდეგ შემთხვევებში:
   ა) ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ.);
   ბ) სხვადასხვა სასკოლო ღონისძიების ჩატარების დროს.
3. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაშვებები მტკიცდება დირექტორის ბრძანებით და აღიწერება /დასაბუთდება სკოლის კურიკულუმის განხირციელების ანგარიშში.

მუხლი 23. სასკოლო საათობრივი ბადე

1. სასკოლო საათობრივი ბადე განსაზღვრულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესების, ასევე სკოლის ადამიანური და ფინანსური რესურსის გათვალისწინებით.
2. ყოველი ახალი სასწავლო წლის საათობრივი ბადე განისაზღვრება წინა წლის კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის, ანალიზის და შეფასების შედეგად.
3. საათობრივი ბადე საფეხურების მიხედვით განსაზღვრავს მოსწავლეთა კვირეული დატვირთვის ოდენობას კლასების, სემესტრების და საგნების მიხედვით.

	დაწყებითი საფეხურის საათობრივი ბადე												
	კლასები	**I კლასი**		**II კლასი**		**III კლასი**		**IV კლასი**		**V კლასი**		**VI კლასი**	
	სემესტრები	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**
	საგანი												
	სახელმწიფო ენა												
1	ქართული ენა და ლიტერატურა	6	6	6	6	6	6	6	6	5	5	5	5
	მათემატიკა												
2	მათემატიკა	5	5	5	5	5	5	5	5	6	6	6	6
	უცხოური ენები												

3	პირველი უცხოური ენა	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
4	მეორე უცხოური ენა									2	2	2	2
	საზოგადოებრივი მეცნიერებები												
5	მე და საზოგადოება					2	2	2	2				
6	ჩვენი საქართველო									2	2	2	2
7	ზღაპართერაპია	1	1	1	1	1	1	1	1				
8	სიბრძნე მინიატურებში									1	1	1	1
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები												
9	ბუნებისმეტყველება	2	2	2	2	2	2	2	2	3	3	2	2
	ტექნოლოგიები												
10	კომპიუტერული ტექნოლოგიები			1	1	1	1	2	2	2	2	2	2
	ესთეტიკური აღზრდა												
11	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
12	მუსიკა	1	1	1	1	1	1	1	1	2	2	2	2
	სპორტი												
14	ფიზიკური აღზრდა	2	2	2	2	2	2	1	1	1	1	1	1
15	ჭადრაკი	2	2	1	1	1	1	1	1				
	სულ კვირეული საათობრივი დატვირთვა	**25**	**25**	**25**	**25**	**27**	**27**	**28**	**28**	**30**	**30**	**30**	**30**

	საბაზო საფეხურის საათობრივი ბადე								
	კლასები	**VII კლასი**		**VIII კლასი**		**IX კლასი**		**X კლასი**	
	სემესტრი	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**
	საგნები								
	სახელმწიფო ენა								
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	5	5	5	5	5	5	5
2	მსოფლიო ლიტერატურა	1	1	1	1	1	1	1	1
	მათემატიკა								
3	მათემატიკა	5	5	5	5	5	5	5	5
	უცხოური ენები								
4	პირველი უცხოური ენა	4	4	4	4	4	4	4	4
5	მეორე უცხოური ენა	2	2	2	2	2	2	2	2
	საზოგადოებრივი მეცნიერებები								

6	ისტორია	2	2	2	2	2	2	2	2
6.1	საქართველოს ისტორია							2	2
7	გეოგრაფია	2	2	2	2	2	2	2	2
8	მოქალაქეობა	2	2	1	1	2	2	2	2
9	იდეები და ღირებულებები	1	1	1	1	1	1	1	1
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები								
10	ბიოლოგია	3	3	2	2	2	2	2	2
11	ფიზიკა	2	2	2	2	2	2	2	2
12	ქიმია			2	2	2	2	2	2
	ესთეტიკური აღზრდა								
13	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	0	2	2	0	0	2		
14	მუსიკა	2	0	0	2	2	0		
	სპორტი								
15	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	1	1	1	1	1	1	1	1
	სულ კვირეული საათობრივი დატვირთვა	**32**	**32**	**32**	**32**	**33**	**33**	**33**	**33**
	პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში / მუსიკაში	0	0	0	0	0	0	1	1
	პროექტი მოქალაქეობაში	0	0	0	0	0	0	1	1

საშუალო საფეხურის საათობრივი ბადე					
	კლასები	**XI კლასი**		**XII კლასი**	
	სემესტრი	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**
	საგნები				
	სახელმწიფო ენა				
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	5	5	5
1.1	მსოფლიო ლიტერატურა (არჩევითი)	1	1	1	0
	მათემატიკა				
2	მათემატიკა	5	5	5	5
	უცხოური ენები				
3	პირველი უცხოური ენა	4	4	4	4
4	მეორე უცხოური ენა	2	2	1	1

	საზოგადოებრივი მეცნიერებები				
5	ისტორია	2	2	2	2
6	საქართველოს ისტორია	2	2	2	2
7	გეოგრაფია	2	2	2	2
8	სამოქალაქო განათლება	2	2	2	2
9	იდეები და ღირებულებები (არჩევითი)	1	1	1	0
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები				
10	ბიოლოგია	2	2	1	1
11	ფიზიკა	2	2	1	1
12	ქიმია	2	2	1	1
	სპორტი				
13	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	1	1	1	1
	სულ საათების რაოდენობა	**33**	**33**	**29**	**27**
პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში / მუსიკაში		1	1	0	0
პროექტი მოქალაქეობაში		1	1	0	0

მუხლი 29. საგნობრივი ჯგუფის მიზნები

1. სამიზნე ცნებების გააზრება/დამუშავება ხდება საგნობრივი ჯგუფის სხვადასხვა საგანში, მოსწავლისათვის აზრიანი, შინაარსიანი კონტექსტის მატარებელ თემებში, ვალიდური სასწავლო რესურსების გამოყენებით.
2. საგნები ერთიანდება რვა საგნობრივ ჯგუფში:
   ა) სახელმწიფო ენა;
   ბ) მათემატიკა;
   გ) უცხოური ენები;
   დ) საზოგადოებრივი მეცნიერებები;
   ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
   ვ) ტექნოლოგიები;
   ზ) ესთეტიკური აღზრდა;
   თ) სპორტი.